



სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი

(შემაჯამებელი ანგარიში)

2024

**სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების
სასამართლო პროცესების მონიტორინგი**

(შემაჯამებელი ანგარიში)



ავტორი: გიორგი აბულაძე

რედაქტირება: ალექო ცეციტიშვილი, ანა ჯაბაური

მონიტორები: კარლო შერაზადიშვილი, თამარ ქურთაული

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: <http://www.humanrights.ge>

ვებ-საიტი: hrc.ge



ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია	6
სისხლის სამართლის საქმეები	7
<i>მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები</i>	<i>7</i>
მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კუზერაშვილისა და გიგი უგულავას სისხლის სამართლის საქმე (7 ნოემბერი)	7
ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადეიშვილის (ე. წ. ბუტა რობაქიძის) სისხლის სამართლის საქმე	10
გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე	12
გიორგი ბაჩიაშვილი სისხლის სამართლის საქმე	13
ზვიად კუპრავას და კახა ხაჩიძის სისხლის სამართლის საქმეები - ბრალდებული და დაზარალებული, და პირიქით.....	14
ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) სისხლის სამართლის საქმე	15
ლინა დოლიძის სისხლის სამართლის საქმე	17
მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას (ე.წ. პიჯაკების) სისხლის სამართლის საქმე	18
ლამა ცანავას და სხვების სისხლის სამართლის საქმე	19
<i>სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც საანგარიშო პერიოდში სასამართლო პროცესი არ ჩატარებულა</i>	<i>20</i>
მიხეილ სააკაშვილის (ე. წ. საზღვრის კვეთის) სისხლის სამართლის საქმე.....	21
აკაკი ხუსკვიადისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმე.....	21
კობა კოშაძის სისხლის სამართლის საქმე.....	23
ლევან ხაბეიშვილის სისხლის სამართლის საქმე	24
ჯელალ ქიქავას საქმე	24
ელგუჯა ცომიას, გიორგი ნარიმანიძის, ზურაბ და შალვა წოწორიების სისხლის სამართლის საქმე	25
გიორგი უგულავას და ალექსანდრე გოგობიას სისხლის სამართლის საქმე	26
მეგის ქარდავას სისხლის სამართლის საქმე.....	27
<i>საანგარიშო პერიოდში დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები</i>	<i>27</i>
ნიკა გვარამიას საქმე	28

მაბუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და ავთანდილ წერეთლის საქმე	29
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები	30
ნიკა მელიას, ჰენრი დოლიძის და ზვიად კუპრაძას საქმე.....	30
<i>სამოქალაქო აქტივისტების დაკავება საპროტესტო წარწერებისა და ცარიელი ფურცლების გამო.....</i>	<i>31</i>
ელუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძისა და გრიგოლ ფრანგიშვილის საქმე.....	32
ლამა ჯანჯღავას საქმე.....	35
ლევან ნიშნიანიძის საქმე.....	36
შოთა თუთბერიძის საქმე.....	37
<i>რუსული კანონის წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს დაკავებული სამოქალაქო აქტივისტები - „არა რუსულ კანონს! კი ევროპას!“</i>	<i>40</i>
გიორგი მურველაშვილის და ზურაბ გიქოშვილის საქმე.....	41
გიორგი ჯოხაძის საქმე	41
ირაკლი კუპრაძის საქმე	42
ოთარ მურველაშვილის და გელა ხასაიას საქმე	44
ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილის საქმე	45
სანდრო ჯოხაძის და გიგა ბერაძის საქმე	46
დაგვიანებული მართლმსაჯულება	47
<i>ბრალის წარდგენა დაგვიანებით</i>	<i>48</i>
<i>გაჭიანურება პროცესის მონაწილე მხარეების მიერ.....</i>	<i>49</i>
<i>პროცესების გაჭიანურება სასამართლო ორგანიზების პრობლემების გამო</i>	<i>50</i>
პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა - საპროტესტო აქციების მონაწილეთა დასჯის საბაბად გამოყენებული კანონი	52
დასკვნა.....	53
რეკომენდაციები	54

შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიერ 2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 25 ივნისის ჩათვლით სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შედეგებს.

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგმა 31 სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის 93 სასამართლო სხდომის, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკონსტიტუციო განხილვის მონიტორინგი განახორციელეს. მონიტორინგის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის შეფასების საფუძველზე, გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები, რომლებიც სისხლის სამართლის განმარტებული საქმეების პოლიტიკური მოტივების შესახებ კითხვებს კიდევ უფრო ამძაფრებს. ასევე, გავრცელებული პრაქტიკის სახით, დაფიქსირდა საპროტესტო აქციების მონაწილეთა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონმდებლობის სადამსჯელო ღონისძიებად გამოყენების შემთხვევები.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეებს 2020 წლიდან აკვირდება პროექტით - „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი“. წინა საანგარიშო პერიოდში¹ - 2022 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 25 ივნისის ჩათვლით - სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების 157 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განხორციელდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სასამართლო პროცესების მონიტორინგის ფარგლებში გამოკვეთილი ტენდენციების შეფასების საფუძველზე, გამოაქვეყნა ოთხი ანალიტიკური დოკუმენტი: 1) *მოსამართლის მიერ კითხვების დასმის უფლებამოსილების გამოყენება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე*;² 2) *სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები - სასამართლო მონიტორინგის შედეგები*;³ 3) *შეწყალების მიუხედავად მსჯავრდებულების მიერ სასამართლოებში გაგრძელებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები*⁴ და 4) *არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები*.⁵

¹ იხ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, *სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში)*, 2023, ხელმისაწვდომია: <https://hrc.ge/files/reports/269monitoring-geo-final.pdf> [18.05.2024].

² ანალიტიკური დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yLo6Zj> [06.06.2024].

³ ანალიტიკური დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yR0wKY> [06.06.2024].

⁴ ანალიტიკური დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4bLPtAS> [27.05.2024].

⁵ ანალიტიკური დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KkCuKM> [27.05.2024].

მეთოდოლოგია

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებს აკვირდება სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე და შემდგომი ანალიზის მიზნით, ახდენს სისხლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში არსებული ხარვეზებისა და სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირებას.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ხორციელდება ორი იურისტ-მონიტორის მიერ, წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. კითხვარის საშუალებით მიღებულ ინფორმაციას იურისტი-ანალიტიკოსი გადაამუშავებს და იყენებს შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტებისთვის და შემაჯამებელი ანგარიშისთვის.

სასამართლო პროცესების მონიტორინგისას ადამიანის უფლებათა ცენტრი მკაცრად იცავს ობიექტურობისა და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის პრინციპებს. ამასთან, ცენტრი უზრუნველყოფს სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიის წარმომადგენლებისა და საზოგადოებისთვის.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშების, ასევე, მონიტორინგის ქვეშ არსებული საქმეების შესახებ საჯაროდ გამოქვეყნებული სხვადასხვა დოკუმენტის და კვლევის გაცნობის საფუძველზე.

სისხლის სამართლის საქმეები

მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები

მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას სისხლის სამართლის საქმე (7 ნომბერი)

საქმის მიმოხილვა

მიხეილ სააკაშვილის და ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების - ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც გაერთიანებულია 2007 წლის 7 ნომბრის მომიტინგეთა მასობრივი დარბევის, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და მისი „ხელში ჩაგდების“, პატარკაციშვილების ოჯახისთვის მთაწმინდის პარკისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევის ეპიზოდებში წარდგენილი ბრალდებები.

საქმეს, სირთულიდან გამომდინარე, იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, რომელსაც თავმჯდომარეობს მოსამართლე ნინო ელუიშვილი. საქმის განმხილველი მოსამართლის ცვლილების გამო, დაცვის მხარის შუამდგომლობით, დაიწყო მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევა. საქმის განხილვა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები

საანგარიშო პერიოდში 17 სხდომა ჩაინიშნა. აქედან ჩატარდა 10, ხოლო სამ შემთხვევაში გადაიდო - მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის,⁶ ივანე მერაბიშვილის ადვოკატის გამოუცხადებლობისა⁷ და ადვოკატების მიერ რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციებზე დაკავებული პირების მხარდაჭერის ნიშნად პროცესში მონაწილეობაზე უარის გამო.⁸

სასამართლო სხდომებზე მიხეილ სააკაშვილი დისტანციურად ერთვებოდა, აკეთებდა განცხადებას, შემდეგ კი ტოვებდა პროცესს. სასამართლო მონიტორინგის ანგარიშების თანახმად, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის ყველა შუამდგომლობა, მისცემოდა მიხეილ სააკაშვილს განცხადების გაკეთების შესაძლებლობა, დაკმაყოფილდა, გარდა ერთი

⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 26.07.2023.

⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 26.02.2024.

⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 22.05.2024.

შემთხვევისა, როდესაც სხვა ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობის შეუძლებლობის გამო სასამართლომ გადადო პროცესი.⁹ მიუხედავად განცხადების შინაარსისა, რომელიც, ძირითადად, საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გამომხაურება იყო, სასამართლოს არ შეუწყვეტია მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლა.

როგორც წესი, მიხეილ სააკაშვილი თანხმობას აცხადებდა, პროცესი მისი მონაწილეობის გარეშე გაგრძელებულიყო. თუმცა, იყო გამონაკლისი შემთხვევები, როცა წარმოდგენილ წერილობით ოქმში არ იყო მითითებული აღნიშნულის შესახებ¹⁰ ან თავად მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა უარი, მისი მონაწილეობის გარეშე გაგრძელებულიყო პროცესი.¹¹

3 ივლისის, 26 ივლისის, 20 სექტემბრის, 20 დეკემბრის, 9 თებერვლისა და 27 აპრილის სხდომებზე სასამართლომ სავალდებულო წესით განიხილა გამოყენებული ადვოკატის ღონისძიების გადახედვის საკითხი. სახელმწიფო ბრალდების განმარტებით, ადგიშვილის და კუზერაშვილის მიმართ კვლავ სახეზეა ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები და არ არსებობს ახალი გარემოება, რაც შესაძლოა საფუძვლად დაედოს ადვოკატის ღონისძიების შეცვლას ან გაუქმებას. სახელმწიფო ბრალდების აზრით, ისინი თავს არიდებენ გამოცხადებას. ამ პოზიციაზე დაყრდნობით, ბრალდების მხარემ ითხოვა, უცვლელი დარჩენილიყო გამოყენებული ადვოკატის ღონისძიება - პატიმრობა.¹² ამ პოზიციას დაცვის მხარე არ იზიარებდა.¹³ ადგიშვილის ადვოკატმა განმარტა, რომ არ არსებობდა პატიმრობის გამოყენების საჭიროება და ითხოვდა პატიმრობის გაუქმებას. კუზერაშვილის ადვოკატის განმარტებით კი, მისი დაცვის ქვეშ მყოფი არის პოლიტიკურად დევნილი და მას არ ჩაუდენია არანაირი დანაშაული. ადვოკატმა ითხოვა კუზერაშვილის მიმართ გამოყენებული პატიმრობის გაუქმება, რადგან სახეზე არ იყო ადვოკატის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.

ყველა ჯერზე სასამართლოს კოლეგიამ უცვლელად დატოვა ორივე ბრალდებულის მიმართ ადვოკატის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა და განმარტა, რომ არ

⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადგიშვილის, დავით კუზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 26.02.2024.

¹⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადგიშვილის, დავით კუზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 03.07.2023.

¹¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადგიშვილის, დავით კუზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 26.07.2023.

¹² ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადგიშვილის, დავით კუზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 03.07.2023, 26.07.2023, 20.09.2023, 20.12.2023, 09.02.2024, 17.04.2024.

¹³ იქვე.

შეცვლილა ფორმალური და ფაქტობრივი გარემოებები, რაც საფუძვლად დაედებოდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლას ან გაუქმებას.¹⁴

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში შეიცვალა საქმის განმხილველი მოსამართლე.¹⁵ კოლეგიის თავმჯდომარის განმარტებით, საპენსიო ასაკიდან გამომდინარე, კოლეგიის მესამე მოსამართლეს, ღია ორკოდაშვილს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა კოლეგიის მესამე მოსამართლე - ლაშა კლდიაშვილი.

განხილვაში ახალი მოსამართლის ჩართვის გამო, დაცვის მხარემ იშუამდგომლა მტკიცებულებების ხელახალი გამოკვლევა, რასაც სასამართლოს შემადგენლობა დაეთანხმა.¹⁶

“სასამართლო კოლეგიამ ადგილზე თათბირით გამოაცხადა განჩინება შუამდგომლობასთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ განმარტა, რომ გადაწყვეტილება არის ერთობლივი და ეთანხმება სამივე მოსამართლე. მისი განმარტებით, მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ იქნა მიღებული, პრაქტიკაც შეიცვალა - მოსამართლეებმა თითქმის დასრულებულ სხვა საქმეებზეც თავიდან დაკითხეს მოწმეები. „ვინაიდან მოსამართლე ლაშა კლდიაშვილი სათადარიგო მოსამართლე არ არის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა იწყება ხელახლა. კოდექსი გვეუბნება, რომ მოწმე უშუალოდ უნდა დაიკითხოს“. ამდენად, სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და მტკიცებულებათა გამოკვლევა დაიწყო თავიდან.”

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე დაიკითხა გიორგი (გოგა) ხაინდრავა. სასამართლო მონიტორის ანგარიშით, მოწმე გამოკითხვის დროს დაცვის მხარის მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზებით გამოირჩეოდა.¹⁷

¹⁴ იქვე.

¹⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხედვით სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადღიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 03.07.2023.

¹⁶ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხედვით სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადღიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 20.09.2023.

¹⁷ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხედვით სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადღიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 17.04.2024.

მთელი ეს სასამართლო სხდომა მონმისა და ადვოკატებს შორის სიტყვიერი დაპირისპირებით წარიმართა. სასამართლო შემაღვენლობა ვერ უზრუნველყოფდა დაპირისპირების დეესკალაციას, მონმე ხშირად გამოიჩინებდა აგრესიულობით ადვოკატების მიმართ და მიმართავდა რიგ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი ეპითეტებით („საცოდავი“, „სასაცილო“). ასევე სხდომის ბოლოს მან ადვოკატ შოთა თუთბერიძეს შეაგინა. დარბაზში სიტყვები კარგად არ გაისმა, მაგრამ პროცესის ვიდეოჩანაწერში [მიმდინარეობდა პროცესის პირდაპირი ტრანსლირება] მუქარანარევი შეგინება გარკვევით ისმის. ადვოკატებმა მოითხოვეს სასამართლოსგან რეაგირება - მონმისათვის მიეცათ შენიშვნა, მაგრამ მოსამართლე მხოლოდ ზეპირსიტყვიერად ცდილობდა მონმის დამშვიდებას და მოუნოდებდა, კითხვებზე პასუხი გაეცა ზრდილობიან ფორმებში.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს (22 და 24 მაისს) ჩანიშნული სასამართლო სხდომები დაცვის მხარის მიერ, პროტესტის ნიშნად, მონაწილეობაზე უარის პარალელურად წარიმართა.¹⁸ მათი განმარტებით, პროტესტის მიზეზია, მხარი დაუჭირონ რუსული კანონის წინააღმდეგ დემონსტრაციების დროს დაკავებულ პირებს და ამიტომ უარს ამბობდნენ პროცესში მონაწილეობაზე, რადგან აღნიშნული სასამართლო პროცესი სწორედ აქცია-დემონსტაციის შედეგად დაზარალებული პირების საქმეს ეხება. ამასთან, რამდენადაც სასამართლოს უნდა ემსჯელა სავალდებულო წესით აღკვეთი ღონისძიების გადასინჯვის საკითხზე, სასამართლომ მიმართა უფასო იურიდიული დახმარების სამსახურს, დაცვის მხარის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

სასამართლო პროცესი გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მოწმეების გამოკითხვით.

ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადეიშვილის (ე. წ. ბუტა რობაქიძის) სისხლის სამართლის საქმე

ირაკლი ოქრუაშვილი და ზურაბ ადეიშვილი ბრალდებული არიან ე. წ. ბუტა რობაქიძის საქმეზე, სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

¹⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხედვით სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 22.04.2024, 24.05.2024.

დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

საქმე ეხება 2004 წლის 24 ნოემბერს თბილისში, დიდუბის პანთეონთან მომხდარ შემთხვევას. საპატრულო პოლიციის პატრულმა ინსპექტორებმა გააჩერეს BMW-ს მარკის ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ მძღოლი და ხუთი მგზავრი. მათი შეჩერებისა და პირადი შემოწმებისას პატრულ-ინსპექტორ გრიგოლ ბაშალეიშვილს გაუვარდა ტყვია ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიდან და მარცხენა ილლიის არეში მძიმედ დაჭრა ავტომანქანიდან გადმოსული მგზავრი ამირან (ბუტა) რობაქიძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ბრალდების დადგენილებით, ამ ფაქტზე ინფორმაცია იმავე ღამით მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც შემთხვევის ადგილზე მისულ შსს-ს მაღალჩინოსნებს დაავალა, რომ „გადაერჩინათ საპატრულო პოლიციის იმიჯი“ და ფაქტისთვის მიეცათ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ პოლიციელებზე თავდასხმის სახე. გარდა ამისა, ბრალდების შესახებ დადგენილებით, იმჟამინდელი საქართველოს გენერალური პროკურორის, ზურაბ ადგიშვილის დავალებით, გამოძიება წარიმართა სამართლებრივად არასწორი მიმართულებით, გაყალბებული მტკიცებულებების საპროცესო წესით დამაგრებითა და შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებული ვერსიის გამყარებით.

ირაკლი ოქრუაშვილს ბრალდება 2019 წლის 19 ნოემბერს, პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე.¹⁹

საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე. პროცესი ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები

საანგარიშო პერიოდში 8 სხდომა ჩაინიშნა. აქედან ჩატარდა 6, ხოლო ორ შემთხვევაში სხდომა გადაიდო;

პირველ შემთხვევაში სხდომის გადადების მიზეზი გახდა ბრალდების მხარის მოწმის გამოუცხადებლობა პროცესზე.²⁰ სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, სხდომაზე უნდა დაკითხულიყო ბრალდების მხარის ერთი მოწმე. პროკურორმა იშუამდგომლა სხდომის გადადება და განმარტა, რომ ცოტა ხნის წინ დაუკავშირდა მოწმე, რომელიც გზიდან მიბრუნდა სახლში, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. შედეგად, მოსამართლემ პროკურორს შესთავაზა მოწმის პროცესზე იძულებით მოყვანა, რადგან ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა იგი

¹⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრი, “ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება”, 2020, 28. ხელმისაწვდომია: <https://hrc.ge/files/153OKRUASHVILI-geo.pdf> [02.05.2024].

²⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადგიშვილის ე. წ. ბუტა რობაქიძის საქმეზე: 20.02.2024.

არ გამოცხადდა პროცესზე. პროკურორმა განმარტა, რომ საჭირო არ იყო იძულებითი მოყვანა და შემდეგ სხდომაზე თავად უზრუნველყოფდა მოწმის მოყვანას.

მეორე შემთხვევაში სხდომა გადაიდო პროკურორის გამოუცხადებლობის მიზეზით.²¹ როგორც სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიშიდან ირკვევა, სხდომაზე გახდა ცნობილი, რომ პროკურორს დაავიწყდა ჩანიშნული სხდომის შესახებ. მოსამართლემ გადადო სხდომა, პროკურორთან შედგა სატელეფონო საუბარი და სხდომის თარიღი სასამართლო სხდომის დარბაზიდანვე შეუთანხმეს. მოსამართლემ პროკურორი გააფრთხილა, თუ კვლავ განმეორდებოდა მსგავსი ფაქტი, მის მიმართ გამოიყენებდა კანონით გათვალისწინებულ სანქციას - ფულად ჯარიმას.

საანგარიშო პერიოდში სხდომები თვეში ერთხელ ინიშნებოდა, გარდა 2023 წლის სექტემბერი-ნოემბრის სამთვიანი შუალედისა, რომლის განმავლობაშიც სხდომა არ ჩანიშნულა.

გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე

„მთავარი არხის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს და მეწილეს, 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის საპროტესტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს და მონაწილეს, გიორგი რურუას ბრალი ედება სსკ-ს 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება). ასევე, ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ს 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას (საქმე ეხება პენიტენციურ დაწესებულებაში გიორგი რურუას უარს, სასამართლო განჩინების საფუძველზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების - დნმ-ის ნიმუშისა და ხელის კვლების აღებასთან დაკავშირებით).

2019 წლის 20 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებულ გიორგი რურუას, აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.²² 2020 წლის 30 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვალერიან ბუგინიშვილმა რურუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, დამნაშავედ ცნო ორივე ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 4 წლით

²¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადეიშვილის ე. წ. ბუტა რობაქიძის საქმეზე: 16.04.2024.

²² ადამიანის უფლებათა ცენტრი, გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი, 2020, 5. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4cjpBx8> [02.05.2024].

თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. დაცვის მხარემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

2021 წლის 27 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი რურუა შეიწყალა. მისი შეწყალება უკავშირდება 2021 წლის 19 აპრილს „ქართულმა ოცნებასა“ და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა ნაწილს შორის ევროკავშირის მიერ მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ შეთანხმებას - ე. წ. შარლ მიშელის დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებდა *პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირების ვალდებულებას*.²³

შეწყალების მიუხედავად, გიორგი რურუამ გააგრძელა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობა. შეწყალების მიუხედავად სასამართლოს განაჩენის ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრებით გიორგი რურუამ შექმნა პრეცედენტი ქართულ მართლმსაჯულებაში, რადგან სასამართლოს მიუწევდა იმ დანაშაულზე მსჯელობა, რომლის მიმართაც შეწყალების აქტი იყო უკვე გამოცემული და, შესაბამისად, პირიც გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.²⁴

სასამართლო მონიტორინგის შედეგები

საანგარიშო პერიოდში 3 სხდომა ჩაინიშნა, საიდანაც ორი სხდომა გადაიდო - ერთი ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორისთვის უცნობი მიზეზით, ხოლო მეორე - მოსამართლის მიერ სხვა შემადგენლობის მოსამართლის დროებით ჩანაცვლების გამო.

აღსანიშნავია, რომ გიორგი რურუამ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 2020 წელს გაასაჩივრა, სააპელაციო სასამართლოს პირველი სხდომა კი 2024 წლის იანვარში ჩატარდა. მას შემდეგ ჩანიშნული ორივე სხდომა გადაიდო.²⁵

გიორგი ბაჩიაშვილის სისხლის სამართლის საქმე

საპარტნიორო ფონდის ყოფილ ხელმძღვანელს, გიორგი ბაჩიაშვილს ბრალი წარედგინა დიდი ოდენობით კრიპტოვალუტის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 პუნქტით (მითვისება ან გაფლანგვა) და 194-ე (ფულის გათეთრება) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. გამოძიების ინფორმაციით,

²³ 2020 წლის 19 აპრილის შეთანხმება „სამომავლო გზა საქართველოსთვის“ (ინგლისურად) - <https://bit.ly/4aAivD5> [02.05.2024], არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4ahcTnL> [02.05.2024].

²⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრი, *შეწყალების მიუხედავად მსჯავრდებულების მიერ სასამართლოებში გაგრძელებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები*, 2024. ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/files/319Appeals_after_Presidential_Pardon-geo.pdf [02.05.2024].

²⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი რურუას საქმეზე: 18.03.2024, 17.04.2024.

ბაჩიაშვილმა ინვესტორის კუთვნილი 8 253.13 ოდენობის (იმ პერიოდში 39 215 820 აშშ დოლარის ღირებულების) ბიტკოინი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა.²⁶

2024 წლის 27 მარტს ჩატარებული წინასასამართლო სხდომის შემდეგ, საქმე არსებითი განხილვისათვის გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიას.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები

27 მარტს, გიორგი ბაჩიაშვილის საქმეზე ჩატარდა წინასასამართლო სხდომა. ბრალდებულმა არ აღიარა წარდგენილი ბრალი და თვლის, რომ მისი არც ერთი ქმედება არ შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.²⁷

დაახლოებით ორ კვირაში ჩანიშნული იყო არსებითი განხილვის პირველი სხდომა, რომელიც მოსამართლე რომეო ტყეშელაშვილმა გადადო იმ საფუძვლით, რომ საქმის შესასწავლად მას დამატებითი დრო სჭირდებოდა. მომდევნო სხდომა არ ჩანიშნულა.

ზვიად კუპრაძას და კახა ხაჩიძის სისხლის სამართლის საქმეები

დასახელებული ორივე საქმე 2020 წლის 31 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას, თბილისის მე-40 საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტს უკავშირდება. როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, ბრალდებულმა კახა ხაჩიძემ დაინახა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ზვიად კუპრაძა, რომელიც მის მეგობარს არ უბრუნებდა გამორთმეულ სამკერდე ნიშანს. კახა ხაჩიძის საქმეში ჩართვას სიტუაციის გამწვავება მოჰყვა - კახა ხაჩიძემ ზვიად კუპრაძას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. მოგვიანებით, კონფლიქტის განმუხტვის მიზნით, ზვიად კუპრაძამ საპატრულო პოლიცია გამოიძახა. თავის მხრივ, ზვიად კუპრაძასთვის წარდგენილ საბრალდებო დასკვნაში მითითებულია, რომ მან საარჩევნო უბნის მიმდებარედ იძალადა მოქალაქეზე (კახა ხაჩიძე), რომელსაც მიაღგა სხეულის დაზიანება და განიცადა ფიზიკური ტკივილი.²⁸

ინციდენტიდან 2 წლის შემდეგ, ზვიად კუპრაძას, ასევე - კახა ხაჩიძეს წარედგინა ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლით, რაც გულისხმობს კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე

²⁶ იხ. ტაბულა, 8 253 ბიტკოინის მიითვისება – თანაინვესტირების ფონდის ყოფილ უფროსს ბრალი წარუდგინეს, 2023 წლის 6 ივლისი. ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/6fs0> [02.05.2024].

²⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი ბაჩიაშვილის საქმეზე: 27.03.2024.

²⁸ პროკურატურამ საარჩევნო უბანზე მომხდარი ძალადობის ფაქტზე 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, საქართველოს პროკურატურა, 27 ოქტომბერი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/43RVWHD> [05.05.2024].

ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარას.²⁹

ზვიად კუპრავას საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე - გიზო უბილავა, ხოლო კახა ხაჩიძის საქმეს - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - რომეო ტყეშელაშვილი.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები

საანგარიშო პერიოდში ზვიად კუპრავას საქმის განხილვის 9 სხდომა იყო ჩანიშნული, რომელთაგან მხოლოდ ორი ჩატარდა. გადადების მიზეზი, რიგ შემთხვევაში, ზვიად კუპრავას გამოუცხადებლობა იყო, იმავე დროს ჩანიშნული საკრებულოს სხდომების გამო (ბრალდებული თბილისის საკრებულოს მოქმედი წევრია). სხდომების გადადების მიზეზი ასევე გახდა ბრალდების მხარის გამოუცხადებლობა.

ამჟამად საქმე არსებითი განხილვის ეტაპზეა და მიმდინარეობს ბრალდების მტკიცებულებათა გამოკვლევა.

რაც შეეხება კახა ხაჩიძის საქმეს, ჩანიშნული იყო 2 სხდომა, რომლებიც გადაიდო.

ზვიად კუპრავას და კახა ხაჩიძის საქმეზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ორივე პიროვნება ერთსა და იმავე ეპიზოდზე ორ სხვადასხვა საქმეში წარმოადგენს ერთდროულად ბრალდებულს და ამავე დროს დაზარალებულსაც. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ასევე, დიდ გამოწვევას წარმოადგენდა ორივე საქმეზე ბრალდების პოზიციის წარმოდგენა ერთი და იგივე პროკურორის მიერ, რადგან ეს ამცირებს ბრალდების მხარის უნარს, შეინარჩუნოს პროკურორმა დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის მაღალი სტანდარტი, დაიცვას დაზარალებული მხარის ინტერესები, მოახდინოს ბრალის სწორი ფორმულირება და მტკიცებულებების შეგროვება, ვინაიდან ორივე საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის - მოწმეები, იდენტურია.³⁰ მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც დაცვის მხარემ აღნიშნულ საკითხზე აპელირება დაიწყო, ზვიად კუპრავას საქმეზე პროკურორმა თვითაცილების შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს.

ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) სისხლის სამართლის საქმე

საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილ უფროსს, ივერი მელაშვილს და შსს-ს სასაზღვრო

²⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრი, არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები, 2024, 8. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KkCuKM> [06.06.2024].

³⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრი, არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები, 2024, 8. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KkCuKM> [06.06.2024].

პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილ მთავარ ინსპექტორს, ნატალია ილიჩოვას პროკურატურამ ბრალი წარუდგინა სსკ-ის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ.

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა 2020 წლის 7 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დააკავეს. 2021 წლის 28 იანვარს, პროკურატურის მიმართვის საფუძველზე, მოსამართლე ლელა კალიჩენკომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20000-20000 ლარიანი გირაოთი შეუცვალა. ამასთან, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობაც ივერი მელაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. გირაოს თანხის შესაგროვებლად, სამოქალაქო მოძრაობამ „სირცხვილია“ სოციალურ ქსელში ინფორმაცია გაავრცელა, რის შედეგადაც, გათავისუფლებულების დასახმარებლად წამოწყებული კამპანიის ფარგლებში, მოქალაქეებმა 2 საათში სრულად შეაგროვეს გირაოს თანხა – 40 000 ლარი. ბრალდებულებს 2020 წლის 8 ოქტომბრიდან 2021 წლის 28 იანვრამდე პერიოდში, აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდათ პატიმრობა.

საქმე არსებითი განხილვის ეტაპზეა და მას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ნინო ნაჭყებია. პროკურატურის მხრიდან მოწმის სახით იკითხებიან დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიის ყოფილი წევრები.

საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ნაჭყებია. პროცესი ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები

საანგარიშო პერიოდში ჯამში 6 სხდომა ჩატარდა. 2023 წლის ივლისის თვიდან მოყოლებული სხდომები ყოველთვიურად ინიშნებოდა. ამასთან, 2024 წლის 22 იანვარს ჩატარდა ბოლო სხდომა, რის მერეც სხდომები არ ჩანიშნულა, რადგან მოსამართლეს ჩანიშნული ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი.³¹

სასამართლო პროცესის მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა შემთხვევები, როცა მოწმე არ გამოცხადდა პროცესზე, ხოლო გამოცხადებული მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია საქმისთვის მნიშვნელოვან საკითხებს არ ეხებოდა, რასაც თავად

³¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოგრაფების) საქმეზე: 22.01.2024.

მოსამართლე აღნიშნავდა³² და მოუწოდებდა მხარეებს, რომ ზოგიერთ მოწმესთან მიმართებაში შეთანხმებულიყვნენ და ეცნოთ უდავოდ, რათა ამით დაზოგილიყო სასამართლოს დრო და რესურსი.

ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როცა პროცესზე გამოცხადებული მოწმე არ ფლობდა/სასამართლოს არ აწვდიდა საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას სრულად:³³

მოწმის გამოკითხვისას, მხარეებს რამდენჯერმე ჰქონდათ მცდელობა, უფრო სიღრმისეულად მიეღოთ ინფორმაცია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან (რუკებთან) დაკავშირებით, მაგრამ მოწმე ყოველ კითხვაზე აცხადებდა, რომ ის კოორდინაციას უწევდა საბჭოს ფუნქციონირებას და სრულ ინფორმაციას იღებდა სხვა პირიდან, შესაბამისად დამატებით ინფორმაციას ვერ მიაწვდიდა სასამართლოს.

2024 წლის იანვრის შემდეგ სასამართლო სხდომა არ ჩანიშნულა. ასევე, უცნობია მომდევნო სხდომის თარიღი.

ლინა დოლიძის სისხლის სამართლის საქმე

საქართველოს პროკურატურა ლინა დოლიძეს ედავება კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობას ან ძალადობის მუქარის შესაძლო დანაშაულის ჩადენას.

საქმის მასალების მიხედვით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას, ლინა დოლიძე დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდა ქ. თბილისის 90–ე საარჩევნო უბანზე, რა დროსაც მან ფიზიკურად იძალადა მამრობითი სქესის ორ პირზე, რომლებიც საარჩევნო უბანზე სპეციალური სამშვიდობო გარეშე იმყოფებოდნენ.

ლინა დოლიძეს ბრალი ორი წლის შემდეგ წარუდგინეს. თავად ბრალდებულის განმარტებით, მას პოლიციიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ საქმე შეწყდებოდა. თუმცა, ადგილზე მისულს სხვა ვითარება დახვდა და რეალურად მას ბრალი წაუყენეს.³⁴

საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო მოსამართლე ზვიად შარაძე. საქმე არსებითი განხილვის ეტაპზეა.

³² ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმეზე: 27.09.2023.

³³ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმეზე: 25.10.2023.

³⁴ ადამიანის უფლებათა ცენტრი, არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები, 2024, 8. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KkCuKM> [06.06.2024].

სასამართლო მონიტორინგის შედეგები

ადამიანის უფლებათა ცენტრი ლინა დოლიძის საქმეზე მონიტორინგს 2023 წლის დეკემბრიდან ახორციელებს. ამ პერიოდში ჩატარებული ხუთი სასამართლო სხდომიდან სამი გადაიდო. ორივე შემთხვევაში პროკურორის მოუმზადებელი გამოცხადება გახდა გადადების მიზეზი.³⁵ ორივე შემთხვევაში, პროკურორმა ვერ უზრუნველყო მოწმეების წარმოდგენა სხდომაზე, რადგან არ ახსოვდა სხდომის შესახებ. ამასთან, საქმის განხილვის დაჩქარების მიზნით, მხარეებმა გადაწყვიტეს შეთანხმება გარკვეული მტკიცებულებების უდავოდ ცნობაზე.³⁶

სასამართლო სხდომაზე მოხერხდა მხოლოდ ერთი მოწმის დაკითხვა, რომელიც უშუალოდ შეესწრო ინციდენტს. როგორც სასამართლო მონიტორინგის ანგარიშით იკვეთება, მოწმეს არ ახსოვს ინციდენტის დროს რა მანძილის მოშორებით იმყოფებოდა, ასევე, საკუთარი თვალთ არ უნახავს დაზიანებები, რაც დაზარალებულს მიადგა.³⁷

მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას (ე.წ. პიჯაკების) სისხლის სამართლის საქმე

საქართველოს ექსპრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და სახელმწიფო დაცვის ყოფილ უფროსს, თეიმურაზ ჯანაშიას ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს დიდი ოდენობით (8 837 461 ლარი) საბიუჯეტო თანხების გაფლანგვას.

პროკურატურის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილსა და თეიმურაზ ჯანაშიას შორის უკვე არსებული შეთანხმებისა და პრეზიდენტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიერ მისთვის და სხვადასხვა ფიზიკური პირებისათვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გაწეული მომსახურებისთვის, საიდუმლო ფორმით, გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი.

საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი განიხილავს.

³⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ლინა დოლიძის საქმეზე: 11.12.2023, 25.01.2024.

³⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ლინა დოლიძის საქმეზე: 11.12.2023.

³⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ლინა დოლიძის საქმეზე: 12.03.2024.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები

მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გასულ წელს სასამართლო სხდომები არ ინიშნებოდა, ხოლო დანიშნული სხდომები გადაიდო.³⁸

საქმის არსებითი განხილვის სხდომები ნოემბრის თვიდან განახლდა და ჯამში 6 სხდომა ჩატარდა, ერთი კი - გადაიდო მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

მიხეილ სააკაშვილი დისტანციურად ესწრება სხდომებს. დაცვის მხარის ყველა შუამდგომლობა, მისცემოდა მიხეილ სააკაშვილს განცხადების გაკეთების შესაძლებლობა, დაკმაყოფილდა. მისი განცხადების შინაარსი, როგორც წესი, პოლიტიკური იყო და ეხმიანებოდა საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

ერთ-ერთ სხდომაზე, ვიდრე საქმის განხილვა სააკაშვილის სიტყვით გაგრძელდებოდა, მოსამართლემ მას მოუწოდა: „ეცადეთ, თქვენი სიტყვა საქმესთან იყოს დაკავშირებული და 10 წუთში ჩაეტიოთ“.³⁹

სასამართლო პროცესებს, როგორც წესი, მიხეილ სააკაშვილის მომხრეები ესწრებიან და მის გამოჩენას ტაშით ხვდებიან. ბრალდებული საზოგადოებისადმი მიმართვის გავრცელების შემდეგ ტოვებს ხოლმე სხდომას და საქმის განხილვა მიმდინარეობს მისი მონაწილეობის გარეშე. სააკაშვილს, სიტყვის დასრულების შემდეგ, მისი მხარდამჭერები ასევე ტაშით აცილებენ და თავადაც ტოვებენ სხდომის დარბაზს.

საქმე დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეა და იკითხებიან მოწმეები. როგორც სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშებიდან მუდმივად იკვეთება, სხდომის დარბაზში არ ისმის პროცესში/ მონაწილე პირების ხმა.

ლაშა ცანავას და სხვების სისხლის სამართლის საქმე

2024 წლის 10 აპრილს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2015 წლის 30 ივნისს საქმეზე შპს „სტუდია მანსტრო“ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ,⁴⁰ პროკურატურამ რვა პირის, მათ შორის,

³⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში), 2023, 14. ხელმისაწვდომია: <https://hrc.ge/files/reports/269monitoring-geo-final.pdf> [18.05.2024].

³⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას (ე.წ. პიჯაკების) საქმეზე: 21.02.2024.

⁴⁰ შპს სტუდია მანსტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, N 22318/10, 30 ივნისი, 2015.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის და პარტიის თავმჯდომარის, ლევან ხაბეიშვილის თანაშემწე ლაშა ცანავას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.⁴¹

საქმე ეხება 2009 წლის 15 ივნისს თბილისის პოლიციის სამმართველოსთან მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეების დარბევის ფაქტს, რა დროსაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებულ იქნა არაპროპორციული ძალა. ფიზიკური ანგარიშსწორება გაგრძელდა მთავარი სამმართველოს შენობაში, სადაც აქციაზე დაკავებული პირები მიიყვანეს. აღნიშნულის შედეგად, მომჩივნების ნაწილმა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები მიიღო.⁴²

სასამართლო მონიტორინგის შედეგები

საქმის სასამართლო პროცესი ახალი დაწყებულია. საანგარიშო პერიოდში, ჩანიშნული ორი სხდომიდან, ჩატარდა მხოლოდ წინასასამართლო სხდომა.

პროცესზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნატო ხუჯაძემ გამოარკვია მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების საკითხი. მხარეებმა ერთმანეთს კანონის დაცვით სრული მოცულობით გადასცეს მტკიცებულებების ნუსხა და დაადასტურეს მიღება. სადავოდ გამხდარი მტკიცებულებები სრულად დაერთო საქმეს და ასევე, სავალდებულო წესით განიხილეს ბრალდებულთა აღკვეთი ღონისძიების საკითხი.⁴³ ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, ბრალდებული ლაშა ცანავა არ აღიარებს წარდგენილ ბრალს, სხვა ერთმა ბრალდებულმა ბრალი აღიარა, ხოლო მესამე ბრალდებულის პოზიცია ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის უცნობი დარჩა, რადგან სასამართლო პროცესზე არ ისმოდა ხმა.

სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც საანგარიშო პერიოდში სასამართლო პროცესი არ ჩატარებულა

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მონიტორინგს 2020 წლიდან ახორციელებს. მონიტორინგის დაწყების დღიდან ცენტრი არაერთ განხილულ საქმეს დააკვირდა, რომელთა

⁴¹ იხ. საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი, პროკურატურა - სტრასბურგის გადაწყვეტილებების შემდეგ, 2009 წლის 15 ივნისის მშვიდობიანი აქციის დარბევის ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნა რვა პირის, მათ შორის, ლაშა ცანავას მიმართ დაიწყო, 10 აპრილი, 2024. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KDI8ZT> [12.05.2025]

⁴² იხ. ინტერნეტგამოცემა “ნეტგაზეთი”, მთავრობამ 2009 წლის 15 ივნისის აქციის მონაწილეების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევა აღიარა, 9 ოქტომბერი, 2015 წელი. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/72230/> [12.05.2024].

⁴³ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ლაშა ცანავას საქმეზე: 21.05.2024.

ნაწილის სასამართლო განხილვა დასრულებულია, ნაწილზე კი დღემდე მიმდინარეობს პროცესები.

ადამიანის უფლებათა ცენტრი შენიშნავს, რომ არის რიგი საქმეები, რომელთა სასამართლო პროცესი ერთწლიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში კი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჩანიშნულა.

მიხეილ სააკაშვილის (ე. წ. საზღვრის კვეთის) სისხლის სამართლის საქმე

საქართველოს მესამე პრეზიდენტს სახელმწიფო ბრალდება ედავება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს - საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთას. პროკურატურის განცხადებით, გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ 2021 წლის 28 სექტემბერს უკრაინიდან, კერძოდ - ჩერნომორსკის პორტიდან ფოთის ნავსადგურში შევიდა გემი, სახელწოდებით „ვილნიუსი“. ამ გემიდან 29 სექტემბერს ჩამოვიდა შპს IKA TRANS-ის საკუთრებაში არსებული SCANIA-ს ფირმის მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალება - ტრაილერი, რომელიც დატვირთული იყო რძის პროდუქტებით. ტრაილერში იმყოფებოდა მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით, ელგუჯა ცომიას დახმარებით, უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება. ამ დროისთვის გამოკვლეულია მხარეთა მტკიცებულებები სრულად. ბრალდებულს საქმესთან დაკავშირებით სურს ჩვენების მიცემა, რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა.

2022 წლის აპრილის ბოლოდან სასამართლო სხდომები სისტემატურად, კვირაში ერთხელ, ინიშნებოდა. ამასთან, 2022 წლის დეკემბრის შემდგომ საქმის განხილვა არ ჩანიშნულა.

აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმე

აკაკი ხუსკივაძესა და აკაკი კობალაძეს ბრალი ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში, რაც გულისხმობს მოხელისათვის პირდაპირ მის სასარგებლოდ ფულის შეთავაზებას, რათა მან თანამდებობრივი უფლების განხორციელების და მოვალეობის შესრულებისას ქრთამის მიცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება; ასევე - ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში; ასევე - ქმედების თავისუფლების

უკანონო შეზღუდვას, ე.ი. მის ფსიქიკურ იძულებას, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ჩადენილი ჯგუფურად.

გამოძიების მტკიცებით,⁴⁴ 2020 წლის 6 ნოემბერს, ბრალდებულები ისნის N5 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს – თედორე გობეჯიშვილს შეხვდნენ და შესთავაზეს, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის სახელით 50 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, დემონსტრაციულად დაეტოვებინა თანამდებობა და პრესის თანდასწრებით, გაეკეთებინა განცხადება, თითქოსდა არჩევნები გაყალბდა. აღნიშნული განცხადების შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტი სარგებლის მიღებას დაჰპირდნენ. მას შემდეგ, რაც თედორე გობეჯიშვილისგან უარი მიიღეს, ბრალდებულები ისნის N5 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაემუქრნენ ანგარიშსწორებით და აიძულებდნენ დასთანხმებოდა შემოთავაზებულ წინადადებას.

ბრალდებულებთან შეხვედრის მეორე დღეს – 2020 წლის 7 ნოემბერს 1977 წელს დაბადებული თედორე გობეჯიშვილი საკუთარ საცხოვრებელ ბინაში გარდაიცვალა.

დამატებით, ბრალდებულ აკაკი კობალაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, რაც გულისხმობს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნასა და შენახვას.⁴⁵

საქმის განხილვა დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზეა. ამ დროისათვის, სასამართლოში დაკითხულები არიან ბრალდებულები და მათი ოჯახის წევრები. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, სასამართლომ დასაკითხი მოწმეების ნაწილში მტკიცებულებები ცნო უდავოდ. ბრალდებულების სასამართლოში მიცემული განმარტების თანახმად, მათი მხრიდან აღგილი არ ჰქონია არც მუქარას და არც ქრთამის შეთავაზებას. მათ ჰქონდათ საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა.

საქმეს არსებითად იხილავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი კერატიშვილი. მოსამართლე გიორგი კერატიშვილის სააპელაციო სასამართლოში განმწესების შემდგომ, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძეს. საქმის განმხილველი მოსამართლის ცვლილების შემდეგ, ახალმა მოსამართლემ ჰკითხა მხარეებს, რა ეტაპიდან სურდათ მათ საქმის განხილვის გაგრძელება. საბოლოოდ, სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და გააგრძელა საქმის განხილვა დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით.

⁴⁴ პოლიციამ თბილისში ქრთამის მიცემის, ჯგუფურად ჩადენილი იძულებისა და მუქარის ბრალდებით ორი პირი დააკავა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, 7 ნოემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/10yetz> [10.06.2024].

⁴⁵ იხ. Humanrights.ge, ადამიანის უფლებათა ცენტრი აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის საქმეს დააკვირდება, 1 დეკემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/2vgxv7> [10.06.2024].

2023 წლის მაისის შემდგომ სხდომა რამდენჯერმე ჩაინიშნა და გადაიდო ბრალდების მხარის გამოუცხადებლობის გამო.⁴⁶

კობა კოშაძის სისხლის სამართლის საქმე

პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრს, კობა კოშაძეს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნას, შენახვას ან ტარებას.

2019 წლის 19 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ კობა კოშაძეს პატიმრობა შეუფარდა. დაცვის მხარე ბრალდებულისთვის 10 000-ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა, მაგრამ მოსამართლემ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და კოშაძეს პატიმრობა შეუფარდა,⁴⁷ თუმცა მოგვიანებით გირაოს საფუძველზე გათავისუფლდა.⁴⁸ იგი ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ იარაღი ჩაუდეს. იმავეს აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი, რომლის განმარტებითაც, კოშაძეს იარაღი მხოლოდ იმ მიზეზით ჩაუდეს, რომ მასზე ვერ მოახდინეს ვერანაირი ზემოქმედება.⁴⁹ ბრალდებულის თქმით, თბილისში შემოსვლისას სამართალდამცავებმა გააჩერეს და მისი მანქანის ჩხრეკა დაიწყეს; ამ დროს, კოშაძის ჩვენებით, ერთმა სამართალდამცავმა ავტომობილში იარაღი ჩადო: „დავინახე, რომ გვერდით, ხელის მუხრუჭთან იდო იარაღი, გამეცინა და ვუთხარი, ეს არ არის ჩემი-მეთქი და რაო, რა დაინახეო?.. რასაც შენ ხედავ, ის დავინახე-მეთქი [...] მაკაროვი შენი არისო? მე ვუთხარი, არ არის ჩემი... როგორ არ არის, გაიგებ მერე, ვისი არის და როგორ არისო. დაიწყეს შევსება“⁵⁰

საქმეს განიხილავს მოსამართლე გიორგი არევაძე. სამ წელზე მეტია საქმეზე სასამართლო სხდომა არ ჩაინიშნულა.

⁴⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრი, არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები, 2024, 8. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KkCuKM> [11.06.2024].

⁴⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრი, “ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება”, 2020, 21. ხელმისაწვდომია: <https://hrc.ge/files/153OKRUASHVILI-geo.pdf> [10.06.2024].

⁴⁸ იხ. საზოგადოებრივი მაუწყებელი „პირველი არხი“, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი კობა კოშაძე 5 000-ლარიანი გირაოს საფუძველზე გათავისუფლდა, 2020 წლის 5 მარტი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/45zljxH> [24.06.2024].

⁴⁹ იხ. ინტერნეტგამოცემა „ტაბულა“, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი, კობა კოშაძე, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, 2020 წლის 5 მარტი. ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/4i37> [10.06.2024].

⁵⁰ იხ. ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთი“, ოქრუაშვილის დაცვის წევრს პატიმრობა შეუფარდეს, 2019 წლის 19 ივლისი. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/381945/> [10.06.2024].

ლევან ხაბეიშვილის სისხლის სამართლის საქმე

საქართველოს პარლამენტის მოქმედ წევრს, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარეს – ლევან ხაბეიშვილს საქართველოს პროკურატურა სსკ–ს 126–ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება. საქმის მასალების თანახმად, 2020 წლის 24 იანვარს ქ. თბილისის საკრებულოს დერეფანში, ლევან ხაბეიშვილმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მაშინდელ მოადგილეს ირაკლი ზარქუაზე ფიზიკურად იძალადა.⁵¹

საქართველოს პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ლევან ხაბეიშვილის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით 3 000-ლარიანი გირაოს გამოყენების შუამდგომლობით მიმართა. ეს მოთხოვნა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბრალდებულს 2 000-ლარიანი გირაო შეეფარდა.⁵²

საქმეს განიხილავს მოსამართლე ნინო ნაჭყებია. საქმის სასამართლო განხილვის უკანასკნელი სხდომა სისხლის სამართლის საქმეზე 2022 წლის 17 აპრილს გაიმართა.

ჯელალ ქიქავას საქმე

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ ჯელალ ქიქავას ბრალდება ედავება სსკ-ის 366-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას - სასამართლოს უპატივცემულობას, რაც გამოიხატა სამართალწარმოების მონაწილის და მოსამართლის შეურაცხყოფით.

ჯელალ ქიქავა „ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის წევრია. 2022 წლის 28 მარტს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას, პროკურორებთან შელაპარაკების გამო, ჯელალ ქიქავა სასამართლო დარბაზიდან გააძევეს და 500-ლარიანი ჯარიმაც დააკისრეს. პროკურატურამ 1 თვის შემდეგ დაადგინა, რომ ჯელალ ქიქავამ სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინა და სისხლის სამართლის დევნა დაიწყო.⁵³

აღსანიშნავია, რომ საქმეზე, დაცვის მხარის პოზიციით, დაირღვა "ne bis in idem" პრინციპი („არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე

⁵¹ იხ. ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთი“, ოპონენტების დაპირისპირების ისტორია, 2021 წლის 09 ივნისი. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/547211/> [10.06.2024].

⁵² ადამიანის უფლებათა ცენტრი, ოპოზიციონერი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის ტენდენცია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენების კვალდაკვალ, 2023, 20. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4c8V6JK> [10.06.2024].

⁵³ იხ. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ჯელალ ქიქავა დააკავეს, 2022 წლის 28 აპრილი. ხელმისაწვდომია: <https://ajaratv.ge/article/95707> [10.06.2024].

დანაშაულისათვის“), რადგან ჯელალ ქიქავას აღნიშნული ბრალდებისთვის ჯარიმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის გადახდილი ჰქონდა, როცა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.⁵⁴

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია, რადგან მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარესთან მოწმის შეკამათება გახდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი, ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას (7 ნოემბერი) სისხლის სამართლის საქმეზე მოწმე გიორგი (გოგა) ხაინდრავამ დაცვის მხარის ადვოკატ შოთა თუთბერიძეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და შეაგინა, რასაც აღნიშნავს ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო პროცესების მონიტორი საკუთარ ანგარიშში და ისმოდა პროცესის პირდაპირი ტრანსლირებისას,⁵⁵ სასამართლოს ან სახელმწიფო ბრალდების მხრიდან, მიუხედავად დაცვის მხარის მიერ ამ საკითხზე აპელირებისა, რეაგირება არ მოჰყოლია.

საქმეს განიხილავს მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი. განხილვა დასასრულს უახლოვდება. თუმცა, სხდომა 2022 წლის დეკემბრის შემდეგ არ ჩატარებულა.

ელგუჯა ცომიას, გიორგი ნარიმანიძის, ზურაბ და შალვა წოწორიების სისხლის სამართლის საქმე

ელგუჯა ცომია, გიორგი ნარიმანიძე, ზურაბ და შალვა წოწორიები ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით დააკავეს. მათ ბრალი წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს და სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან ოთხ წლამდე ვადით.

2021 წლის 4 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ელგუჯა ცომია პატიმრობაში დატოვა.⁵⁶ სამართალდამცველებმა ელგუჯა ცომია 1 ოქტომბერს იმის გამო დააკავეს, რომ მან ძებნილ სააკაშვილს საკუთარი ბინა დაუთმო. გამოძიების ინფორმაციით, ელგუჯა ცომიამ იცოდა, რომ უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის იძებნებოდა საქართველოში. მიუხედავად ამისა, მან

⁵⁴ იხ. ტელეკომპანია „TV პირველი“, "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ჯელალ ქიქავა დააკავეს, 2022 წლის 29 აპრილი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yUI2ZP> [10.06.2024].

⁵⁵ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 17.04.2024.

⁵⁶ იხ. ინტერნეტგამოცემა „ინტერპრესნიუსი“, ელგუჯა ცომიას, რომლის ბინაშიც მიხეილ სააკაშვილი დააკავეს, პატიმრობა შეეფარდა, 2021 წლის 4 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4enaiEX> [10.06.2024].

თავისი აქტიური მოქმედებით, 2021 წლის 30 სექტემბერს მას დასამალად და დროებით საცხოვრებლად გადასცა თავის მფლობელობაში არსებული ბინა თბილისში.⁵⁷

ამასთან, გამოძიების მტკიცებით, 2021 წლის 29 სექტემბერს, მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის გადაკვეთის შემდგომ, ზურაბ და შალვა წოწორიებმა საკუთარი ავტომანქანით უზრუნველყვეს სააკაშვილის ტრანსპორტირება და დანიშნულების ადგილას - სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში მიიყვანეს. 2021 წლის 5 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი გელაშვილმა პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მამა-შვილ წოწორიებს აკვეთის დონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გიორგი ნარიმანიძე, სატვირთოს მძღოლი, რომელიც მესამე პრეზიდენტის საქმეზე მეოთხე დაკავებულია, ბრალს არ აღიარებს. გამოძიების თანახმად, გიორგი ნარიმანიძე იმყოფებოდა იმ სატვირთო ავტომობილში, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი აბაშიდან თბილისში ჩამოვიდა; მან იცოდა, რა გზებით შემოვიდა პრეზიდენტი ქვეყანაში და ეს ინფორმაცია დამალა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს.

თავდაპირველად, ამ საქმეზე ბრალდებულ პირთა სისხლის სამართლის საქმეები ცალ-ცალკე განიხილებოდა, მოგვიანებით კი, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, ისინი ერთ საქმედ გაერთიანდა.

საქმეს განიხილავდა მოსამართლე გიორგი კერატიშვილი. 2022 წლის დეკემბრიდან საქმეს განიხილავს მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილი. უკანასკნელი სასამართლო სხდომა ჩატარდა 2022 წლის დეკემბრის თვეში. საქმის განხილვა იმავე ეტაპზეა და როგორც მხარეები განმარტავენ, მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. ამჟამად, ბრალდებულთაგან არც ერთი ადარ იმყოფება პატიმრობაში.

გიორგი უგულავას და ალექსანდრე გოგობიას სისხლის სამართლის საქმე

ქალაქ თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა. ბრალდებულებს პროკურატურა სსკ-ის 194-ე მუხლით და 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას ედავება. კერძოდ, სახელმწიფო ბრალდება ალექსანდრე გოგობიასა და გიგი უგულავას ფულის გათეთრებასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ედავებიან. ამასთან, გიგი უგულავას სახელმწიფო ბრალდება ამავე საქმეში „სითი პარკის“ ეპიზოდზე უფლებამოსილების ბოროტად

⁵⁷ იქვე.

გამოყენებას და ე.წ. მარნეულის ეპიზოდზე ჯგუფური მოქმედების ორგანიზებასა და იძულებასაც ედავება.⁵⁸

საქმეს განიხილავს მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილი. სასამართლო პროცესი 2022 წლის 6 ივნისის შემდეგ არ ჩანიშნულა. ბოლო სხდომაზე დაცვის მხარის შუამდგომლობა, საქმეების გაერთიანების შესახებ, გაერთიანდა.

მეგის ქარდავას სისხლის სამართლის საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს უკრაინიდან საქართველოში ექსტრადირებული, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამხედრო პოლიციის ყოფილი მატალჩინოსნის, მეგის ქარდავას სისხლის სამართლის პროცესი.

სახელმწიფო ბრალდება მას 2011 წელს პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებაში სამი პატიმრის წამებას ედავება.⁵⁹ მეგის ქარდავას ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, კერძოდ - წამებისთვის, რაც ითვალისწინებს 9 წლიდან - 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

საქმეზე შეიცვალა განმხილველი მოსამართლე - დავით მგელიაშვილის ნაცვლად საქმეს განიხილავს მოსამართლე გიორგი არევაძე. საქმე სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა და მიმდინარეობს მტკიცებულებათა გამოკვლევა. ბრალდებულმა წინასასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ საქმე პოლიტიკური მოტივით მიმდინარეობს, ის უნდობლობას უცხადებს ქართულ სასამართლოს და უარს აცხადებს პროცესში მონაწილეობაზე.

2023 წლის 24 თებერვლის შემდეგ, რაც საქმის განმხილველი მოსამართლე შეიცვალა, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის პროცესი არ ჩანიშნულა.

საანგარიშო პერიოდში დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში დასრულდა ნიკა გვარამიას, ასევე, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა მიმდინარეობას საერთო სასამართლოებში ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდებოდა.

⁵⁸ იხ. საზოგადოებრივი მაუწყებელი „პირველი არხი“, გიგი უგულავასა და ბიზნესმენ ალექსანდრე გოგობიას საქმეზე დაცვის მხარის მოწმე დაიკითხა, 2019 წლის 11 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4bSXC6U> [10.06.2024].

⁵⁹ იხ. ინტერნეტგამოცემა „რადიო თავისუფლება“, მეგის ქარდავა 21 წლის პატიმრის წამების საქმეში, 2014 წლის 08 აპრილი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3VENvNe> [10.06.2024].

ნიკა გვარამიას საქმე

„მთავარი არხის“ დამფუძნებელსა და გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას ბრალად ედებათ სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობს საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებას ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.⁶⁰

2022 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საქმეს იხილავდა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე.⁶¹ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი 3 ეპიზოდში. რუსთავი 2-ის ეპიზოდის ნაწილში სასჯელის ზომად განსაზღვრული ჯარიმა 50 000 ლარიანი ჯარიმა შეიცვალა პატიმრობით 3 წლის და 6 თვის ვადით.⁶²

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ბრალდების მხარემ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც სარჩელი დაუშვებლად ცნო.⁶³ 2023 წლის 22 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, ნიკა გვარამია შეიწყალა და მან დატოვა საპატიმრო დაწესებულება.⁶⁴

ამასთან, 2024 წლის 26 მარტს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსახილველად არ მიიღო ნიკა გვარამიას საქმე.⁶⁵

⁶⁰ იხ. ინტერნეტგამოცემა „ტაბულა“, გვარამიას ბრალი წარუდგინეს - "მეგობრებისთვის გამორჩენის მისაღებად, განზრახ არ მოითხოვა 6 763 510 ლ", 2019 წლის 19 აგვისტო. ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/3xff> [11.06.2024].

⁶¹ იხ. ტელეკომპანია „ფორმულა“, სასამართლომ ნიკა გვარამია დამნაშავედ ცნო და 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა, 2022 წლის 16 მაისი. ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/70666> [11.06.2024].

⁶² იხ. ინტერნეტგამოცემა „რადიო თავისუფლება“, ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ, 2022 წლის 2 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32111762.html> [11.06.2024].

⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/ka/news/presrelizi> [11.06.2024].

⁶⁴ იხ. ინტერნეტგამოცემა „რადიო თავისუფლება“, პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალა, 2023 წლის 22 ივნისი. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32471204.html> [11.06.2024].

⁶⁵ იხ. ინტერნეტგამოცემა „რადიო თავისუფლება“, გვარამია: სტრასბურგის სასამართლომ განსახილველად არ მიიღო ჩემი სარჩელი, 2024 წლის 26 მარტი. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32878338.html> [11.06.2024].

მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და ავთანდილ წერეთლის საქმე

თბილისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძესა და მის მოადგილეს, ბადრი ჯაფარიძეს (ამჟამად - პოლიტიკური ორგანიზაციის - „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები) ბრალი ედებათ სსკ-ს 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რომელიც განხორციელდა ჯგუფურად და თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ხოლო TV „პირველის“ მფლობელის მამის, ავთანდილ წერეთლის მიმართ წარდგენილი ბრალი გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარებას (სსკ-ს 25-194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).⁶⁶

თბილისის საქალაქო სასამართლომ მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე განაჩენი 2022 წლის 12 იანვარს გამოაცხადა. სასამართლომ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ წარდგენილი ბრალდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრება) მუხლიდან თაღლითობის მუხლზე გადააკვალიფიცირა, ხოლო ავთანდილ წერეთლის ბრალდება ფულის გათეთრებაში მონაწილეობიდან – თაღლითობაში მონაწილეობაზე. თუმცა, 12 იანვარს გამოცხადებული განაჩენით, მოსამართლე გიორგი არევაძემ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის (თაღლითობა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით) და სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7-7 წლის ვადით. ამასთან, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ხაზარაძე და ჯაფარიძე საპატიმრო სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდნენ, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.⁶⁷

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარემ. ბრალდების მხარეს მიაჩნდა, რომ სახეზე იყო ფულის გათეთრების შემადგენლობა და მოსამართლემ არასწორად განმარტა შესაბამისი მუხლი დავის ფაქტობრივ გარემოებებთან და წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. შესაბამისად მოსამართლეს უნდა მიეღო გამამტყუნებელი განაჩენი იმ ქმედებისთვის, რომლის გამოც ბრალდებულებს წარედგინათ ბრალი. დაცვის მხარის პოზიციით, სახეზე არ იყო არც ფულის ფულის გათეთრების შემადგენლობა. დაახლოებით, ერთწლიანი

⁶⁶ იხ. ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთი“, ხაზარაძის საქმე — ფულის გათეთრება თუ პოლიტიკური დევნა, 2019 წლის 26 ივლისი. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/383446/> [11.06.2024].

⁶⁷ იხ. საზოგადოებრივი მაუწყებელი „პირველ არხი“, სასამართლომ მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი დამნაშავედ ცნო, თუმცა საქმის ხანდაზმულობის გამო, საპატიმრო სასჯელი არ შეუფარდა, 2022 წლის 12 იანვარი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4aXxalc> [11.06.2024].

სასამართლო განხილვების შემდეგ, 2023 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.⁶⁸

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებმა გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საკასაციო საჩივარი არ მიიღო წარმოებაში.⁶⁹ ამასთან, როგორც მოგვიანებით მამუკა ხაზარაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციით გახდა ცნობილი, მათი საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსახილველად მიიღო.⁷⁰

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

ნიკა მელიას, ჰენრი დოლიძის და ზვიად კუპრაძას საქმე

2023 წლის 2 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა ნიკა მელიას, ჰენრი დოლიძისა და ზვიად კუპრაძას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნათია ბუსკაძემ სამივე მათგანი ასკ-ის 166-ე მუხლის პირველი და 173-ე მუხლების პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის დააჯარიმა 2000-2000 ლარით.

საქმე ეხებოდა 2023 წლის 22 სექტემბერს გლდანის პირველ მიკრორაიონში მომხდარ ინციდენტს, რა დროსაც თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერ წევრ ირაკლი ეძგვერაძეს და მის მეგობრებს თავს დაესხა პირთა ჯგუფი და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.⁷¹ ადგილზე მყოფი პოლიტიკოსები მისულ სამართალდამცავებს დაუპირისპირდნენ - მოითხოვდნენ დანაშაულის მყისიერ გამოძიებას და დამნაშავეთა დაკავებას. შსს-ს წარმომადგენლების მიერ შედგენილ სამართალდარღვევათა ოქმში აღნიშნულია, რომ სამივე პირი არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, პოლიციელებს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ხელს უშლიდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას და არ ემორჩილებოდა კანონიერ მოთხოვნებს.

სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი იყო ბრალდების 6 და დაცვის მხარის 5 მოწმე. ბრალდების მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებებში ჩანდა, რომ ძირითადი აქცენტები

⁶⁸ იხ. ინტერნეტგამოცემა „რადიო თავისუფლება“, ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეზე სააპელაციომ საქალაქო სასამართლოს განაჩენი უცვლელი დატოვა, 2023 წლის 26 იანვარი. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32240593.html> [11.06.2024].

⁶⁹ იხ. ინტერნეტგამოცემა „ინტერპრესნიუსი“, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმე უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო, 2023 წლის 29 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3VnviCR> [11.06.2024].

⁷⁰ იხ. ინტერნეტგამოცემა „რადიო თავისუფლება“, ხაზარაძე ამბობს, რომ მისი საქმე სტრასბურგის სასამართლომ განსახილველად მიიღო, 2024 წლის 26 თებერვალი. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32835568.html> [11.06.2024].

⁷¹ იხ. ინტერნეტგამოცემა „რადიო თავისუფლება“, შსს ადასტურებს ნიკა მელიას, ბაჩო დოლიძის და ზვიად კუპრაძას დაკავებას, 22 სექტემბერი, 2023 წელი. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32605286.html> [20.05.2024].

ზედმიწევნით ემთხვეოდა ერთმანეთს და ტოვებდა შეთანხმებული ჩვენებების შთაბეჭდილებას. შსს-ს მთავარი არგუმენტაცია 166-ე მუხლთან მიმართებით იყო ის, რომ 3 ბრალდებული ხმამაღლა ილანძღებოდა, ხმაურობდა და არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. ნიკა მელიას ერთ ეპიზოდში ედავებიან უშუალოდ პოლიციელების მისამართით გინებას. რაც შეეხება 173-ე მუხლს - ამასთან დაკავშირებით, შსს-ს განმარტავდა, რომ ბრალდებულები არ დაემორჩილნენ პოლიციელების კანონიერ მოთხოვნას, შეეწყვიტათ ლანძღვა და ხმამაღალი საუბარი. ასევე, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მათ გადაკვეთეს პოლიციის მიერ გავლებული ყვითელი ლენტი და ჰქონდათ მცდელობა, საგამოძიებო მოქმედებებისათვის შეეშალათ ხელი.⁷²

სამართალდამრღვევად ცნობილმა პირებმა გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში. სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქმე და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

სამოქალაქო აქტივისტების დაკავება საპროტესტო წარწერებისა და ცარიელი ფურცლების გამო

2023 წლის 2 ივნისს თბილისში, პარლამენტის შენობის წინ, მშვიდობიანი აქცია გაიმართა, რომელიც ორგანიზებული იყო სამოქალაქო აქტივისტების ჯგუფი „ჯიუტის“ მიერ. აქტივისტებს ეჭირათ ქაღალდის ბანერები, რითაც აკრიტიკებდნენ საქართველოს ხელისუფლებას და მოუწოდებდნენ მას გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების დაცვისკენ. აქციის საპასუხოდ პოლიციამ თვითნებურად დააკავა პროტესტის შვიდი მონაწილე, მათ შორის ოთხი უფლებადამცველი.⁷³

შვიდი დაკავებულიდან ერთ-ერთს აქციაზე ხელში ეჭირა საქართველოს კონსტიტუციის ასლი, ხოლო მეორეს - ქაღალდის ცარიელი ფურცელი.⁷⁴ აქციის ზოგიერთ მონაწილეს ხელში ეჭირა ბანერი წარწერით „ირაყლი“,⁷⁵ რომელზეც პრემიერ მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის სახელი შეცვლილი იყო და წარმოთქმისას შეუფერებელ სიტყვას ემსგავსებოდა.⁷⁶

⁷² ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ოქტომბრის თვის ანგარიში ნიკა მელიას, ჰენრი დოლიძის და ზვიად კუპრაძას საქმეზე.

⁷³ იხ. განცხადება - დასრულებული უსამართლო დევნა და დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC), ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH), ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი (NHC), მსოფლიო ორგანიზაცია წამების წინააღმდეგ (OMCT), ჟენევა-პარიზი-ოსლო-თბილისი, 2023 წლის 22 ივნისი. ხელმისაწვდომია: <https://www.hrc.ge/515/geo/> [10.05.2024].

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ იხ. ტელეკომპანია „ფორმულა“, 2 ივნისს დაკავებული ორი აქტივისტი დუშეთის იზოლაციიდან ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს, 2023 წლის 4 ივნისი. ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/91816> [10.05.2024].

⁷⁶ იხ. განცხადება - დასრულებული უსამართლო დევნა და დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC), ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH), ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი

ელუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძისა და გრიგოლ ფრანგიშვილის საქმე

ელუარდ მარიკაშვილს, საბა ბრაჭველს, ნიკა რომანაძეს, ნოდარ სიხარულიძესა და გრიგოლ ფრანგიშვილს შინაგან საქმეთა სამინისტრო ედავებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის პირველი ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას, რაც გულისხმობს წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. შსს-ს მტკიცებით, მათ ხელში ეკავათ თაბახის თეთრი ფურცლები წარწერით - „ირაყლი“.

საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები და სასამართლომ გამოიკვლია მხარეთა მიერ წარდგენილი ვიდეომტკიცებულებები.

შსს-ს წარმოდგენილი ჰყავდა ოთხი მოწმე - პატრულ ინსპექტორები: დავით გიორგაძე (ნიკა რომანაძის დამკავებელი), ბიძანა ჟამირაშვილი (ნოდარ სიხარულიძის დამკავებელი), ადამალი ასკეროვი (გრიგოლ ფრანგიშვილის დამკავებელი) და კობა კაპანაძე (ელუარდ მარიკაშვილის დამკავებელი). რომლებიც, როგორც შსს-ს მოწმეები განმარტავდნენ, მათ დააკავეს წარმოდგენილი პირები.⁷⁷ ამასთან, თავად სამართალდამრღვევად ცნობილი პირები ამტკიცებდნენ, რომ ისინი სხვა პოლიციელებმა დააკავეს.⁷⁸ ამასთან, შსს-ს მიერ წარმოდგენილი მოწმეები ზუსტად ვერ იხსენებდნენ დაკავების დეტალებს:⁷⁹

ნიკა რომანაძის დამკავებელმა ინსპექტორმა განმარტა, რომ დაკავების დეტალები არ ახსოვს, რადგან 1 თვეზე მეტია გასული ამ ფაქტიდან. ახსოვდა, რომ პოლიციამ რამდენჯერმე გააფრთხილა შეკრებილები, არ გაეშალათ პლაკატები და არ ეთქვათ შეურაცხმყოფელი, უცენზურო სიტყვები, რადგან ეს წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, დააკავებდნენ, დემონსტრანტებისგან კი წამოვიდა შეძახილები დაკავებამდე - „თქვე ნაძირალებო“, „რუსული პოლიცია“, „მონებო“, „პუტინის მონებო“.

(NHC), მსოფლიო ორგანიზაცია წამების წინააღმდეგ (OMCT), ჟენევა-პარიზი-ოსლო-თბილისი, 2023 წლის 22 ივნისი. ხელმისაწვდომია: <https://www.hrc.ge/515/geo/> [10.05.2024].

⁷⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ელუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძისა და გრიგოლ ფრანგიშვილის საქმეზე: 05.07.2023.

⁷⁸ იხ. ინტერნეტგამოცემა „პუბლიკა“, „პოლიციელმა მითხრა, არალამაზი რამ აწერია ბანერზეო“ - საბა ბრაჭველი მის დაკავებას იხსენებს, 2023 წლის 5 ივნისი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3K7XWT9> [16.05.2024].

⁷⁹ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიშიდან ელუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძისა და გრიგოლ ფრანგიშვილის საქმეზე: 05.07.2023.

სასამართლო პროცესზე მოწმის მონაწილეობით გამოიკვლიეს ორი ვიდეოჩანაწერი, რომელიც ნიკა რომანაძის დაკავების ეპიზოდს ასახავს. დამკავებელმა მოწმემ დაადასტურა, რომ საკუთარი თავი კადრებში ვერ ამოიცნო. ამასთან, როგორც ნიკა რომანაძემ პროცესზე განაცხადა, კადრებში შესაძლებელია მისი პირის მოძრაობით ამოცნობა თქვა თუ არა „ნაძირალა“.

ნოდარ სიხარულიძის დამკავებელმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ რამდენიმე გაფრთხილების მიუხედავად, აქციის მონაწილეები არ დაემორჩილნენ პოლიციას, აწეული ჰქონდათ უცენზურო წარწერებით პლაკატები და იძახდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს, რაც გახდა დაკავების საფუძველი. ასევე, დაკავების მომენტში მათ პოლიციას მიაყენეს შეურაცხყოფა.

მოწმის განმარტებით, ნოდარ სიხარულიძეს ხელში ეჭირა ბანერი წარწერით - „შეგარცხვინე თქვენი ქართულის მასწავლებელი, თქვენი მუნდირი“. ამასთან, იმავე მოწმემ, ადვოკატის კითხვაზე - შეეძლო თუ არა ძველქართულად ტექსტის წაკითხვა, უპასუხა - „ახლა ვერ“.

გრიგოლ ფრანგიშვილის დამკავებელმა მოწმემ განმარტა, რომ ბრალდებული თავდაპირველად პოლიციის კანონიერ მოთხოვნას დაემორჩილა და მაისური გაიხადა, მაგრამ მოგვიანებით დაბრუნდა და მაისური კვლავ ხელში დაიკავა. მოწმის განცხადებით იგი არ ემორჩილებოდა პოლიციის მოთხოვნას და შედეგად, მოხდა მისი დაკავება. მოწმემ ასევე განაცხადა, რომ დაკავებისას ფრანგიშვილმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, როცა მასთან მივიდა, რათა აღმოეფხვრა სამართალდამრღვევის შემთხვევა. მოწმე აპელირებდა, რომ დაკავებისას მნიშვნელობა არ ჰქონდა გრიგოლ ფრანგიშვილს მაისური წარწერით ეცვა თუ ხელში ეჭირა, მოწმის ჩვენებით, ფრანგიშვილმა მათ უწოდა „რუსული მილიცია“ და „მონა“, ხოლო მაისურზე უწმანური სიტყვა ეწერა - „სირი“⁸⁰

პირველ სხდომაზე მივლინებაში ყოფნის გამო ვერ გამოცხადდა ედუარდ მარიკაშვილის დამკავებელი ინსპექტორი. შსს-მ ითხოვა პროცესის გადაღება ან მისი დისტანციური დაკითხვა. დაცვის მხარე დაეთანხმა პროცესის გადაღების შუამდგომლობას, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი იყო მოწმის დისტანციური დაკითხვის, რასაც ასაბუთებდნენ მოწმის პირისპირი გამოკითხვის, ასევე მისი ვიდეომტკიცებულების გამოკვლევაში მონაწილეობის საჭიროებით.

⁸⁰ იქვე.

მოსამართლემ განმარტა, რომ სამუშაო საათების განმავლობაში მონმეს დისტანციურად დაკითხავდა, მაგრამ, რადგან სამუშაო დრო სრულდება, ხოლო არასამუშაო დროს საქმის განხილვის გაგრძელება მხარეზეა დამოკიდებული, ვერ მოხდებოდა მონმის დაკითხვა და საქმის განხილვა გადადო შსს-ს მიერ მიწოდებული ვადების შესაბამისად.⁸¹

მომდევნო სხდომაზე, **მარიკაშვილის დამკავებელმა მოწმემ** განმარტა, რომ 2 ივნისს, ღამის საათებში პარლამენტის წინ აქციას მართავდნენ მოქალაქეები, სადაც იყო მარიკაშვილიც, რომელიც მან დააკავა. აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ უცენზურო სიტყვებისგან შემდგარი პლაკატი, ზოგს - ფურცელი. მოწმის განცხადებით, პოლიციის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, შეენახათ პლაკატები, შეკრებილები არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, სკანდირებდნენ უცენზურო სიტყვებს: „ირაყლი“, „@ლეებო“ და ა.შ. მათი განმარტებით, სწორედ ამის გამო, გადაწყვეტილება მიიღეს, დაეკავებინათ აქციის მონაწილეები და მარიკაშვილიც იქ იყო.⁸²

მარიკაშვილი და მისი ადვოკატი არ დაეთანხმნენ მოწმეს. მათ აღნიშნეს, რომ მარიკაშვილი დაკავებისას იდგა ცარიელი ფურცლით, არანაირ მოქმედებას არ ახორციელებდა, არავის დაკავებას უშლიდა ხელს. ამ დროს კი, მასთან მივიდა ვიდაც პოლიციელი, მოქაჩა და დააკავა. ვიდეოში, დაცვის მხარის განმარტებით, ასევე ჩანს, რომ მარიკაშვილის დამკავებელი არის სხვა პოლიციელი და არა სასამართლოზე წარმდგენილი მოწმე. კადრებში მოწმე არსად არ ჩანს.⁸³

საბა ბრაჭველის ადვოკატმა წარადგინა პროკურატურისთვის მიმართვის წერილი და განმარტა, რომ მოწმეს მიმართ სასამართლოში მიცემული ცრუ ჩვენების თაობაზე მიმართა პროკურატურას და მოითხოვა დართვოდა ეს წერილი საქმეს. ადვოკატის განმარტებით, ბრაჭველის დამკავებელი პირი, როგორც ამას შსს-ს წარმომადგენელი და თავად მოწმე აღნიშნავდა, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთოდ არ ყოფილა.⁸⁴

შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, ბრაჭველმა დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რაც გამოიხატა მის მიერ ფურცელზე სიტყვა „ირაყლის“ დაწერაში, რომელიც შეურაცხმყოფელი სიტყვაა. მისი

⁸¹ ამონარიდი, იქვე.

⁸² ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ელუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძისა და გრიგოლ ფრანგიშვილის საქმეზე: 01.09.2023.

⁸³ ამონარიდი, იქვე.

⁸⁴ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ელუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძისა და გრიგოლ ფრანგიშვილის საქმეზე: 04.09.2023.

თქმით, „ირაყლი“ კავშირშია „@ლესთან“. როგორც შსს-ს წარმომადგენელი მიუთითებდა, ბრაჭველმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციას დაკავებამდე.

27 სექტემბერს გამოცხადდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის თანახმადაც, მარიკაშვილის, ბრაჭველის, რომანაძისა და ფრანგიშვილის მიმართ 173-ე მუხლის პირველ ნაწილში (პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა და პოლიციის შეურაცხყოფა) შეწყდა საქმე სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო. თუმცა, 166-ე მუხლის პირველ ნაწილში, ისინი სამართალდამრღვევებად იქნენ ცნობილი და სახდელის სახედ და ზომად განესაზღვრათ ჯარიმა 500-500 ლარის ოდენობით. სიხარულიძე სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი 166-ე მუხლის პირველი და 173-ე მუხლის პირველი ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის და დაეკისრა ჯარიმა 2.000 ლარის ოდენობით.

საქმე განიხილა მოსამართლე ნინო შჩერბაკოვმა.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამრღვევად ცნობილმა ხუთივე პირმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც საქმე წარმოებაში მიიღო. მოგვიანებით, სასამართლომ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ლაშა ჯანჯღავას საქმე

2023 წლის 29 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ნინო ენუქიძემ არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯიუტის“ წევრი ლაშა ჯანჯღავა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის და 173-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სამართალდამრღვევად ცნო და დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე აქცია-პერფორმანსის დროს, შსს პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა იმ მოტივით, რომ ირღვეოდა საზოგადოებრივი წესრიგი, ადმინისტრაციული წესით დააკავეს ლაშა ჯანჯღავა.

სასამართლო სხდომაზე დაიკითხა შსს-ს მოწმე, პოლიციის თანამშრომელი გელა ქურდაძე. მისი განმარტებით, ლაშა ჯანჯღავა გამოხატავდა პოლიციელთა მიმართ უპატივცემულობას და შეძახილებით - „მონებო“, „ძაღლებო“ და „ირაყლი“ - არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. მოწმის განცხადებით, სამართალდამრღვევს ასევე ეჭირა მსგავსი შინაარსის ბანერები. მიუხედავად მოწოდებისა, ლაშა ჯანჯღავა არ

დაემორჩილა პოლიციის მითითებას, ხოლო მოგვიანებით, როცა პოლიციამ განიზრახა მისი დაკავება, ცდილობდა მიმალვას.

მოსამართლემ სთხოვა მონემეს, განემარტა, ლაშა ჯანჯღავას მიერ ჩადენილი კონკრეტული ქმედება, რომელიც წარმოადგენდა ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას. მონემემ პირველ შემთხვევაში არადაამაჯერებელი განმარტება გააკეთა - ლაშა ჯანჯღავას შეძახილები - „მონებო“, „ძაღლებო“ და „ირაყლი“ - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე წარმოადგენდა ხულიგნობას. რაც შეეხება დაუმორჩილებლობას, მონემის განცხადებით, მიმალვის მცდელობა წარმოადგენდა 173-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.⁸⁵

სასამართლო სხდომაზე დაკვირვების შედეგად, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის შეფასებით, სრულად დაუსაბუთებელი იყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ბრალდება და ასევე წარმოდგენილი მტკიცებულებები. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დააკმაყოფილა შსს-ს მოთხოვნა და ლაშა ჯანჯღავა სამართალდამრღვევად ცნო.

გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. თუმცა, სასამართლომ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ლევან ნიშნიანიძის საქმე

ლევან ნიშნიანიძე სამართალდამრღვევად ასკ-ის 166-ე მუხლის პირველი და 173-ე მუხლის პირველი მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა, ხელში ბანერის ქერაში წარწერით - „ირაყლი“, პოლიციისთვის შეურაცხყოფითა და მათთვის ლაშა ჯანჯღავას დაკავებაში ხელშეშლით.

მოპასუხე მხარემ უარყო შსს-ს მიერ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა, რომ ლევან ნიშნიანიძეს არ სჭერია ბანერი წარწერით „ირაყლი“, არამედ - თაბახის ფურცელი ძველქართული წარწერით, რომელიც უხამსობას არ შეიცავდა. ამასთან, მისი განცხადებით, მას პოლიციისთვის ხელი არ შეუშლია ჯანჯღავას დაკავებაში - მხოლოდ იკითხა, რატომ აკავებდნენ.

⁸⁵ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ლაშა ჯანჯღავას საქმეზე: 18.09.2023.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის შეფასებით, შსს-ს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არაადამაჯერებელი და ზოგადი იყო. ზოგადი იყო მათი შემაჯამებელი სიტყვაც.⁸⁶

კერძოდ, შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, საპროტესტო აქციაზე ლევან ნიშნიანიძემ პოლიციელს ჰკითხა, თუ რატომ აკავებდა ჯღარკავას. შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, ნიშნიანიძემ პოლიციელისთვის კითხვის დასმით ხელი შეუშალა საპოლიციო ღონისძიებას. ამასთან, ნიშნიანიძე პოლიციას აყენებდა შეურაცხყოფას და მიმართავდა - პოლიცია ხართ თუ კრიმინალები?! „დაკავებისას პოლიციას არ უნდა შეუშალო ხელი. თუ გაინტერესებთ დაკავების საფუძვლები, შეგიძლიათ მერე მიმართოთ შესაბამისი წესით დასაბუთების მისაღებად“, - განაცხადა შსს-ს წარმომადგენელმა სასამართლო პროცესზე. რაც შეეხება კამერების ჩანაწერების არარსებობას, შსს-წარმომადგენლის მტკიცებით, იშვიათია შემთხვევა, როცა არსებობს უწყვეტი კადრები, რითაც ნათელი ხდება, რას აკეთებდა კონკრეტული პირი დაკავების მომენტში.

მოსამართლე ნინო შჩერბაკოვმა გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. გადაწყვეტილების თანახმად, ლევან ნიშნიანიძე სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი 166-ე და 177-ე მუხლის პირველი ნაწილებით და მას სახდელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც საქმეზე ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელა და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

შოთა თუთბერიძის საქმე

შოთა თუთბერიძე ადმინისტრაციული წესით დააკავეს 2023 წლის 2 ივნისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 173-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - შსს მას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას (ეჭირა თაბახის თეთრი ფურცელი წარწერით „ირაყლი“) და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ედავებოდა.

დაკავებიდან 2 თვის თავზე, შსს-მ საქმე წარადგინა სასამართლოში და იგი დაეწერა მორიგე მოსამართლე - კობა ჩაგუნავას. სასამართლო პროცესამდე, თავად შოთა თუთბერიძეს არ ჰქონდა საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა.

⁸⁶ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ლევან ნიშნიანიძის საქმეზე: 25.09.2023.

შსს-ს პოზიციით, წარწერა [„ირაყლი“] იყო უხამსი, მას არ ჰქონდა შინაარსი, რადგან სიტყვა „ირაყლი“ არ იძებნება ლექსიკონში და მას არც კავშირი აქვს პოლიტიკურ გამონათქვასთან. თუთბერიძის მიზანი იყო მხოლოდ შეურაცხმყოფელი სიტყვით პლაკატი ჰქონოდა, რითაც ირღვეოდა საზოგადოებრივი წესრიგი.⁸⁷

შოთა თუთბერიძე არ დაეთანხმა შსს-ს პოზიციას:⁸⁸

„[...] ოქმში წერია ტყუილი. სოციალურ ქსელში ვნახეთ ცარიელი ფურცლის ჭერის გამო დააკავეს ჩემი სტუდენტი. იქვე სამსახურებრივ კონვერტზე და არა თაბახის ფურცელზე დაგწერე „ირაყლი“ და წავედი მეგობართან ერთად რუსთაველის გამზირზე. ადგილზე დაგვხვდა პოლიცია, რომელიც მიღებდა ფოტოებს. 15-20 წუთში მოვიდა სტუდენტური ჯგუფი „ჯიუტი“, რომელთაც მე არ ვიცნობდი და შეხება არ მქონია. მათ მოითანეს პლაკატები და დადგეს პარლამენტის წინ. იქ ვნახე ჩემი რამდენიმე ნაცნობი და მათთან ერთად დავსხედით პარლამენტის წინ კიბეზე. მე პოლიციასთან არანაირი კომუნიკაცია არ მქონია - არც ვერბალური და არც ფესტიკულაციით, მითუმეტეს შეურაცხყოფა არ მიმიყენებია მათთვის. პლაკატი ზოგჯერ ხელში მეჭირა, ზოგჯერ ძირს მედო, რადგან ტელეფონზე ვსაუბრობდი და არა იმიტომ, რომ პოლიციამ მომიწოდა და შეგწყვიტე ქმედება.

მოგვიანებით, გავიგე ხმაური და დავინახე 15-20 პოლიციის ფორმიანი კაცი, მომგარდნენ და დამაგდეს კიბეზე. წამიყვანეს და ჩამსვეს დაკავების მანქანაში. პოლიციელმა გაიომ გიკოშვილმა მანქანაში მითხრა, რომ ვარ ადმინისტრაციული წესით დაკავებული და დამაგდეს ხელბორკილები, თან ესაუბრებოდა ვინმე ანას.

ავლაბრის ტერიტორიაზე ვიყავით, როდესაც გაიომ გიკოშვილმა მითხრა - არ ხარ დაკავებული, ტერიტორიას განგარიდეთო და მომხსნა ხელბორკილი. როდესაც ისნის ტერიტორიაზე ვიყავით, მოაბრუნა მანქანა და თავისუფლებაზე წავედით, სადაც მოვიდა პატრულ-ინსპექტორი შოთა არჯევანიძე, დამადო ხელბორკილები და მითხრეს,

⁸⁷ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში შოთა თუთბერიძის საქმეზე: 15.09.2023.

⁸⁸ იქვე.

რომ დაკავებული ვიყავი. რამდენჯერმე ვკითხე მათ, აეხსნათ დაკავების საფუძველი, მაგრამ არაფერი არ განუმარტავთ - არც უფლებამოსილებები. წამიყვანეს შსს დეპარტამენტში, სადაც მითხრეს, ოქმზე მომენერა ხელი. ვუთხარი, რომ მსურდა შენიშვნის გაკეთება, რაზეც მითხრეს - არ გინდა შენ ხელისმონწილეო და წაიღეს, სავრთოდ არ მომანერინეს ხელი. არ ვფიქრობ, რომ რამე ნორმა დაგარღვიე და ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენე. არც უხამსი სიტყვა გამომიყენებია. უნდა შეწყდეს სამართალწარმოება.“

არათანმიმდევრული იყო შოთა თუთბერიძის დამკავებელი პოლიციელი მოწმის ჩვენება. მისი განმარტებით, არ იცოდა შოთა თუთბერიძის დაკავების მიზეზი, იცოდა მხოლოდ მუხლი, რომლის საფუძველზეც მოხდა მისი დაკავება - „მუხლი ვიცოდი, რითაც დაგაკავეთ. კონკრეტული მიზეზი არ მქონდა“.⁸⁹

განსხვავებით სხვა საქმეებისგან, სადაც წერილობითი მტკიცებულებები გამოკვლევულად ითვლებოდა, განსახილველ საქმეში, შოთა თუთბერიძე არ დაეთანხმა წერილობით მტკიცებულებებს და განმარტა:⁹⁰

ოქმში აღწერილი შინაარსი სიმართლეს არ შეესაბამება, ასევე, მოწმეთა ჩვენებები არ შეესაბამება სიმართლეს. შსს სასამართლოს ატყუებს რომ [ვიდეოკამერების] ჩანაწერები არ არსებობს - 5 ივნისს მივმართე ჩანაწერების, მათ შორის - პარლამენტის კამერების დაარქივების და ამოღების მოთხოვნით მათ.

შოთა თუთბერიძის საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 28 სექტემბერს, 18:50 საათზე. მის მიმართ 173-ე მუხლის პირველ ნაწილში შეწყდა საქმე სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო. 166-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით კი იგი სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი და სახდელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში შოთა თუთბერიძის საქმეზე: 19.09.2023.

რუსული კანონის წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს დაკავებული სამოქალაქო აქტივისტები - „არა რუსულ კანონს! კი ევროპას!“

მმართველი პარტიის მიერ ხელმეორედ ინიცირებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი 2024 წლის 3 აპრილს საქართველოს პარლამენტს წარედგინა.⁹¹ „ქართული ოცნების“ ამ ინიციატივას იმავე დღეს მოჰყვა ქართველი პოლიტიკოსების,⁹² მედიაორგანიზაციების,⁹³ სამოქალაქო სექტორისა⁹⁴ და უცხოელი პარტნიორების⁹⁵ მკაცრი კრიტიკა. ამასთან, დაიწყო რუსული კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებისთვის სამზადისი.⁹⁶

პარლამენტმა რუსულ კანონს 8 აპრილის ბიუროს სხდომაზე მისცა მსვლელობა,⁹⁷ ხოლო 15 აპრილს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მისი განხილვა დაიწყო, პარლამენტის უკან გამართული საპროტესტო აქციის პარალელურად.⁹⁸ კანონის განხილვის ყველა ეტაპზე იმართებოდა პერმანენტული აქციები.

საბოლოო ჯამში, 2024 წლის აპრილიდან დღემდე, რუსული კანონის წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს დააკავეს 200-ზე მეტი ადამიანი,⁹⁹ რომელთა დიდ ნაწილს სამართალდამცავების მიერ სხეულზე მიყენებული სხვადასხვა ხარისხის

⁹¹ იხ. ინტერნეტგამოცემა „BM.GE“, „ოცნება“ ე.წ. რუსულ კანონს პარლამენტში აბრუნებს, 03 აპრილი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bm.ge/news/otsneba-ets-rusul-kanons-parlamentshi-abrunebts> [20.05.2024].

⁹² იხ. ინტერნეტგამოცემა „პუბლიკა“, ქალი დეპუტატების გამომხაურება ე.წ. „რუსულ კანონზე“, 03 აპრილი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4bviJMI> [20.05.2024]; პარტია „საქართველოსთვის“ დამოუკიდებელ დეპუტატ თეონა აქუბარდიასთან ერთად „რუსული კანონის“ ალტერნატიულ კანონპროექტს აინიცირებს, 04 აპრილი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/451wAHR> [20.05.2024].

⁹³ იხ. ინტერნეტგამოცემა „პუბლიკა“, დამოუკიდებელი მედიაორგანიზაციების გამომხაურება „ქართული ოცნების“ მიერ რუსული კანონის დაბრუნების შესახებ, 03 აპრილი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4bviTmV> [20.05.2024].

⁹⁴ იხ. ტელეკომპანია „ფორმულა“, „რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი!“ - 400-ზე მეტი ორგანიზაციის განცხადება, 08 აპრილი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/108918> [20.05.2024].

⁹⁵ იხ. ინტერნეტგამოცემა „პუბლიკა“, EU გამოთქვამს წუხილს და სერიოზულ შემფოთებას, რომ რუსული კანონი კვლავ განიხილება, 03 აპრილი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3QZv7Mu> [20.05.2024]; 12 ევროპული ქვეყანა „ქართულ ოცნებას“ მოუწოდებს, გაიწვიოს რუსული კანონი, 05 აპრილი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Vevfdo> [20.05.2024].

⁹⁶ იხ. ინტერნეტგამოცემა „პუბლიკა“, აქტივისტები აორგანიზებენ გუნდს, რომელიც რუსული კანონის წინააღმდეგ პროტესტს სხვადასხვა ფორმით შეუერთდება, 04 აპრილი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/44Zv5Km> [20.05.2024].

⁹⁷ იხ. ინტერნეტგამოცემა „პუბლიკა“, პარლამენტი რუსული კანონის განხილვას იწყებს, 08 აპრილი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4bPvgTS> [20.05.2024].

⁹⁸ იხ. ინტერნეტგამოცემა „პუბლიკა“, რუსული კანონის განხილვის პარალელურად პარლამენტთან აქცია იმართება, 15 აპრილი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WUSGK4> [20.05.2024].

⁹⁹ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება მშვიდობიან აქციებზე დაკავებულების უფლებების დაცვის შესახებ, 10 მაისი, 2024. ხელმისაწვდომია: <https://www.hrc.ge/648/geo/> [20.05.2024].

დაზიანება აღენიშნებოდა.¹⁰⁰ ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ რეპრესიულ მექანიზმად ფასდება აქციების შემდგომ სამოქალაქო აქტივისტების მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და მათი გამოკითხვაზე გამოძახება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორები აკვირდებიან აქციების დროს დაკავებული 12 პირის სასამართლო პროცესებს. მათგან, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მიღებული იქნა საქმეების გაერთიანების გადაწყვეტილება.

გიორგი მურველაშვილის და ზურაბ გიქოშვილის საქმე

გიორგი მურველაშვილს და ზურაბ გიქოშვილს შსს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევას ედავებოდა. როგორც შსს-ს წარმომადგენელმა პროცესზე განმარტა, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული ორივე პირი ცდილობდა პოლიციის კორდონის გარღვევას, უმისამართოდ იგინებოდა და არ დაემორჩილა სამართალდამცავების კანონიერ მოთხოვნას.

გარდა მოწმე პატრულ-ინსპექტორების მიერ მიცემული ჩვენებებისა, საქმეში არ დევს სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა პირების ბრალეულობას. სხდომაზე წარმოდგენილ ვიდეომტკიცებულებებში კი ვერ მოხდა ვერცერთი სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირება.¹⁰¹

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე კობა ჩაგუნავამ ორივე პირი სამართალდამრღვევად ცნო და ჯარიმის სახით გიორგი მურველაშვილს 2 200 ლარი, ხოლო ზურა გიქოშვილს 2 000 ლარის გადახდა დააკისრა.

გიორგი ჯოხაძის საქმე

გიორგი ჯოხაძეს შსს ედავებოდა ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენას.

შსს-ს განმარტებით, გიორგი ჯოხაძე იგინებოდა უმისამართოდ, პოლიციელების მიმართ გამოიყენა შეურაცხმყოფელი სიტყვები, გაარღვია კორდონი, ხელს უშლიდა პოლიციელთა მიერ დაკავების პროცესს და არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას.

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის აპრილის თვის ანგარიში გიორგი მურველაშვილის და ზურაბ გიქოშვილის საქმეზე.

საქმეზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო მედიაში გავრცელებული კადრები, მოწმე 2 პოლიციელი და დაცვის მხარის 3 მოწმე. ასევე, შსს-მ წარმოადგინა წერილობითი ინფორმაცია, სამხრე კამერების ჩანაწერების გამოთხოვასთან დაკავშირებით უფლებამოსილი განყოფილების პასუხი კამერის ჩანაწერების გაცემაზე უარის შესახებ, რადგან ასეთი ჩანაწერები არ არსებობდა.

მოწმე პოლიციელის, პატრულ-ინსპექტორ გიორგი ხარებაშვილის განმარტებით, სამხრე კამერა „დარჩა სადღაც“ და ამიტომ არ არსებობს ჩანაწერი.¹⁰²

მეორე მოწმე პოლიციელის, პატრულ-ინსპექტორ უჩა წითლანაძის განმარტებით, სამხრე კამერის ჩანაწერები არ ჰქონდა, რადგან ექსტრემალური სიტუაცია იყო და არ გახსნებია ჩართვა, რომ არ დასჯდომოდა სამხრე კამერა. თუმცა დროდადრო რთავდა და თიშავდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილიმა მიიღო გიორგი ჯოხაძის სამართალდარღვევად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება სრულად, 166-ე და 173-ე მუხლის პირველი ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისთვის. ჯოხაძეს სანქციის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2 500 ლარის ოდენობით. მოსამართლემ 15-წუთიანი თათბირის შემდეგ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მაგრამ არცერთი გარემოება ან მტკიცებულება, რას დაეყრდნო, არ დაუსახელებია.

ირაკლი კუპრაძის საქმე

პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთ ლიდერს, ირაკლი კუპრაძეს შსს ედავებოდა სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენას.

შსს-ს განმარტებით, 9 აპრილის ქუჩაზე მყოფი კუპრაძე ცდილობდა პოლიციის კორდონის გარღვევას, აყენებდა პოლიციას შეურაცხყოფას და იგინებოდა უმისამართოდ.

მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო მოწმეთა ჩვენებები და მედიაში გავრცელებული ვიდეოჩანაწერები.

¹⁰² ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი ჯოხაძის საქმეზე: 25.04.2024.

დაცვის მხარემ დააყენა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამი ვიდეოკამერის ჩანაწერის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობა, რასაც არ დაეთანხმა შსს-ს წარმომადგენელი და ასევე, არ დააკმაყოფილა სასამართლომ:¹⁰³

დაცვის მხარის შუამდგომლობა: ირაკლის კუპრაძის დაკავება მოხდა პარლამენტის უკან, საშვთა ბიუროსთან. მნიშვნელოვანია სასამართლოს ჰქონდეს ყველაზე ობიექტური მტკიცებულება და რადგან სამხრე კამერის ჩანაწერიც არ არსებობს, სწორედ ასეთი ობიექტური მტკიცებულება იქნება პარლამენტის ვიდეოკამერის ჩანაწერები - უწყვეტი კადრები 30-წუთიანი პერიოდით.

შსს-ს წარმომადგენელმა დაცვის მხარის შუამდგომლობაზე განაცხადა, რომ სასამართლო განხილვის საგანია 166-ე და 173-ე მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ფაქტების შეფასება და არა დაკავების კანონიერება. ეს ყველაფერი კი უნდა იყოს სმენით აღქმადი, ხოლო პარლამენტის გარე კამერის ჩანაწერები მხოლოდ ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევა. შსს-ს წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მათ მიერ წარმოდგენილ ვიდეომტკიცებულებაში ასახულია ყველა ეპიზოდი, რაც ადგილზე ხდებოდა და რასაც კუპრაძეს ედავებიან.

მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა კამერების ჩანაწერის სასამართლოს მიერ გამოთხოვის ნაწილში არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისთვის საჭიროა სასამართლოს ჰქონდეს ინფორმაცია, რომ კონკრეტული ჩანაწერი არსებობს და კონკრეტულ ფაქტს/პირებს ასახავს. აბსტრაქტულად ამ ინფორმაციის გარეშე საკითხზე ვერ იმსჯელებს. სასამართლოს განმარტებით, მტკიცების ტვირთი აკისრია ადმინისტრაციულ ორგანოს - შსს-ს, რომელიც ამბობს, რომ მათ მიერ წარმოდგენილ კადრებში ასახულია მოვლენების განვითარება.

ამის შემდეგ, დაცვის მხარემ დააყენა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა, რომელიც, ასევე, არ დაკმაყოფილდა.¹⁰⁴ ადვოკატის განმარტებით, მოსამართლის აცილების საფუძველი არის არა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი, არამედ, მისი მიკერძოებულობა.

¹⁰³ იქვე.

¹⁰⁴ იქვე.

საქმეზე დაიკითხნენ მოწმე პოლიციელები, რომლებმაც ისაუბრეს კუპრადის მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე. ამასთან, მოწმეთა ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას აწვდიდა სასამართლოს. ასევე, ირაკლი კუპრადე დააკავეს 16 აპრილს, ხოლო მისი დაკავების ოქმი შედგენილია 18 აპრილს - ორი დღის შემდეგ.

მოსამართლე გადაწყვეტილების მისაღებად გავიდა სათათბიროდ და 1 საათში დაბრუნდა. პროცესზე გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, ყოველგვარი განმარტების და მტკიცებულებაზე მითითების გარეშე.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, ირაკლი კუპრადე ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენაში და დაეკისრა ჯარიმა 2 500 ლარის ოდენობით.

ოთარ მურველაშვილის და გელა ხასაიას საქმე

პოლიტიკური პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლების“ წევრ გელა ხასაიას და აქციის მონაწილე ოთარ მურველაშვილს შსს ედავებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენას. შსს-ს განმარტების თანახმად, 2024 წლის 16 აპრილს გელა ხასაია იდგა 9 აპრილის ქუჩაზე პოლიციის წინ და ცდილობდა კორდონის გარღვევას. ასევე, იგინებოდა უმისამართოდ. პოლიციამ არაერთხელ მოუწოდა ხასაიას, დამორჩილებოდა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას, მაგრამ ის განაგრძობდა სამართალდარღვევას.

ხასაია არ დაეთანხმა შსს-ს განმარტებას და აღნიშნა, რომ ის არ დაუკავებიათ 9 აპრილის ქუჩაზე, არ იყო მისი მხრიდან კორდონის გარღვევის მცდელობა, არ ყოფილა მისი მხრიდან უმისამართოდ გინების ფაქტი და არც პოლიციას მოუწოდებია კანონიერი მოთხოვნისთვის დამორჩილებისკენ. ხასაიას განმარტებით, პოლიციელმა ჰკრა ხელი, უყვიროდა და იყო აგრესიული. ჰკითხა, ასე რატომ იქცეოდა, რა დროსაც მივარდნენ პოლიციელები და ურტყამდნენ თავში და მუცელში. ამ დროს იგი ჩაიკეცა. ცემის პარალელურად უმეორებდნენ, რომ ეს დარტყმა იყო „ღარიბაშვილისგან, ეს კი - კობახიძისგან“. აგინებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ შემდეგზე ადარ მისულიყო აქციაზე და ცემის შეშინებოდა.¹⁰⁵

ოთარ მურველაშვილთან დაკავშირებით შსს-ს განმარტება იდენტური იყო - 2024 წლის 16 აპრილს იგი ხასაიასთან ერთად იდგა 9 აპრილის ქუჩაზე, პოლიციის წინ და ცდილობდა კორდონის გარღვევას; ასევე, იგინებოდა უმისამართოდ. პოლიციამ

¹⁰⁵ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გელა ხასაიას და ოთარ მურველაშვილის საქმეზე: 24.04.2024.

არაერთხელ მოუწოდა, დამორჩილებოდა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას, მაგრამ განაგრძობდა სამართალდარღვევას.

მოპასუხე მხარის განმარტებით, საერთოდ სხვა ქუჩაზე დააკავეს და დამკავებლების იდენტიფიცირებაც შეუძლებელი იყო. კერძოდ, ოთარ მურველაშვილი მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ჭიჭინაძის ქუჩაზე მშვიდად. მათ მივარდნენ რობოკოპები და გაიტაცეს. ამ დროს არ ყოფილა არანაირი მოწოდება. ოთარ მურველაშვილი დარბევის დროს ცდილობდა გაქცევას, მაგრამ ვერ შეძლო. იგი ჭიჭინაძე-ზუბალაშვილების ქუჩის კვეთაზე დააკავა ორმა პირმა და „მიათრიეს“ 9 აპრილის ქუჩის მხარეს. დაკავების შემდეგ გამეტებით სცემდნენ. ასევე, სცემდნენ დაკავების მანქანაში მსხდომ სხვა პირებსაც და უწოდებდნენ „პიდარასტს“. ოთარ მურველაშვილის განმარტებით, შსს-ს პოლიციის დეპარტამენტში გადაყვანის შემდეგ პირველად შეხვდა დაკავების ოქმის შემდგენ პოლიციელს.

ოთარ მურველაშვილის განმარტებით, მას სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები.

ორივე შემთხვევაში დაიკითხნენ როგორც შსს-ს, ისე მოპასუხე მხარის მოწმეები. მოპასუხე მხარის განმარტებით, შსს-ს წარმოდგენილი მოწმე პოლიციელები არ იყვნენ დამკავებლები და ეს დადასტურდა მოსამართლის მაგიდასთან გამოკვლეული მხარეთა ვიდეომტკიცებულებებით. ასევე, ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევით დადასტურდა, რომ გელა ხასაიას და ოთარ მურველაშვილს არ ჩაუდენიათ სამართალდარღვევა.

ორივე პირის მიმართ შსს-მ ითხოვა ჯარიმის გამოყენება, ხოლო ადვოკატებმა - საქმის შეწყვეტა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე კობა ჩაგუნავას მიერ ორივე პირი სრულად იქნა ცნობილი სამართალდამრღვევად 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენაში. ხასაია დაჯარიმდა 2 600 ლარის, ხოლო მურველაშვილი - - 2 300 ლარის ოდენობით.

ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილის საქმე

ყოფილ სახელმწიფო მინისტრ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ამჟამად კი „რონდელის ფონდის“ უფროს მკვლევარს, ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილს შსს უდავებოდა სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას.

შსს-ს განმარტებით, 28 აპრილს აქციის მონაწილეებმა გადაწყვიტეს მმართველი პარტიის მიერ რუსული კანონის კონტრაქციისთვის მოწყობილ სცენაზე ასვლა და სარგებლობა. პოლიციის მხრიდან მიიღეს განმარტება, რომ ვერ მოახერხებდნენ სცენაზე ასვლას, მათი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რადგან სცენის მონტაჟი არ იყო დასრულებული. განმარტებების მოსმენის შემდეგ, მათ გადაწყვიტეს მსვლელობა

სცენის მიმართულებით ძალისმიერად - ცდილობდნენ ჯებირის მოშლას და პოლიციის კორდონის გარღვევას, რა დროსაც მონაწილეები აწვებოდნენ პოლიციას და აჟღერებდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს, მათ შორის, პოლიციის მიმართ. ამ პროცესში ისმოდა მოწოდებები, გაერღვიათ კორდონი და ასულიყვნენ სცენაზე. შსს-ს განმარტების თანახმად, პეტრიაშვილი არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, არ ემორჩილებოდა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას (დაეტოვებინა ის კონკრეტული ადგილი და არ გაერღვია კორდონი), უწმაწურ სიტყვებს იძახდა და შეურაცხყოფას აყენებდა პოლიციას. შსს-ს მიერ წარმოდგენილი ვერსიას არ დაეთანხმა მოპასუხე მხარე.

საქმეზე დაიკითხნენ მხარეთა მოწმეები და მოსამართლის მაგიდასთან გამოიკვლიეს ვიდეომტკიცებულებები.

მოწმე პოლიციელებმა საკუთარი თავი ვერ ამოიცნეს ვიდეოკადრებში. თუმცა, ადასტურებდნენ, რომ ერთი მათგანი იყო დამკავებელი, ხოლო მეორე - ფაქტის შემსწრე. პეტრიაშვილი განმარტავდა, რომ მისი დაკავება მოხდა სპეცრაზმის მიერ, ხოლო პროცესზე წარმოდგენილი პიროვნებები პირველად ნახა პოლიციის დეპარტამენტში გადაყვანის შემდგომ. მისი განმარტებით, ეს იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება.¹⁰⁶

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილი გადაწყვეტილების მისაღებად მხოლოდ 20 წუთით გავიდა სათათბიროდ. მან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა ყოველგვარი განმარტების და მტკიცებულებაზე მითითების გარეშე.

გადაწყვეტილების თანახმად, შეწყდა წარმოება 166-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით, ხოლო 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში პეტრიაშვილი ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. ასევე, 6 თვის ვადით ჩამოერთვა იარაღის ტარების უფლება.

სანდრო ჯოხაძის და გიგა ბერაძის საქმე

სანდრო ჯოხაძეს და გიგა ბერაძეს შსს ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას ედავებოდა.

როგორც შსს-ს წარმომადგენელმა განმარტა, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული ორივე პირი ცდილობდა პოლიციის კორდონის გარღვევას, უმისამართოდ იგინებოდა და არ დაემორჩილა სამართალდამცავების კანონიერ მოთხოვნას.

¹⁰⁶ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ალექსი (ბუტა) პეტრიაშვილის საქმეზე: 01.05.2024.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშის თანახმად,¹⁰⁷ გარდა მოწმე პატრულ-ინსპექტორების მიცემული ჩვენებებისა, საქმეში არ დევს სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რაც გაამყარებდა პირების ბრალულობას. უფრო მეტიც, სხდომაზე წარმოდგენილ ვიდეო და ფოტო მტკიცებულებებში ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირები პოლიციის კორდონიდან დაახლოებით 20-25 მეტრის მოშორებით იდგნენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე კობა ჩაგუნავამ მხარეთა არგუმენტაციის მოსმენის შემდეგ, ორივე პირი სამართალდამრღვევად ცნო და ჯარიმის სახით 2,200 - 2,200 ლარის გადახდა დააკისრა.

დაგვიანებული მართლმსაჯულება

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება.¹⁰⁸ ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია განამტკიცებს გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებას. დაგვიანებული მართლმსაჯულება კი ხშირად მართლმსაჯულებაზე უარის თქმას უდრის.¹⁰⁹

თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მუდმივად განმარტავს, რომ სასამართლო პროცესის გაუმართლებელი გაჭიანურება არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების გაჭიანურება, გარდა იმისა, რომ შესაძლოა არღვევდეს ბრალდებულის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს, ამძაფრებს ეჭვს პირის მიმართ პოლიტიკური მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ.¹¹⁰

ადამიანის უფლებათა ცენტრი გამუდმებით უსვამს ხაზს დროული მართლმსაჯულების მნიშვნელობას. ცენტრმა არაერთხელ აღნიშნა, რომ იმ საქმეებზე, სადაც არსებობს პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების შესახებ კითხვები, დაგვიანებული ან გაჭიანურებული მართლმსაჯულება განსაკუთრებულად თვალშისაცემი ხდება.¹¹¹

¹⁰⁷ ამონარიდი, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში სანდრო ჯოხაძის და გიგა ბერაძის საქმეზე: 25.04.2024.

¹⁰⁸ მუხლი 31, საქართველოს კონსტიტუცია.

¹⁰⁹ ვაზაგაშვილი საქართველოს წინააღმდეგ 50375/07; 18.10.2019.

¹¹⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები, 2024, 12. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Pr450P> [27.05.2024].

¹¹¹ ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები, 2024. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Pr450P> [27.05.2024]; ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში), 2023. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KghHDR> [27.05.2024]; ადამიანის უფლებათა ცენტრი,

ამასთან, წინამდებარე ანგარიში მოიცავს სისხლის სამართლის რვა საქმეს, რომელთა სასამართლო განხილვის პროცესები საანგარიშო პერიოდის, ზოგ შემთხვევაში კი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჩანიშნულა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბრალდებულის უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე ტენდენციურად სამი მიმართულებით ირღვევა - (1) ბრალის წარდგენა დაგვიანებით, (2) პროცესების გაჭიანურება სასამართლო ორგანიზების პრობლემების გამო და (3) გაჭიანურება პროცესის მონაწილე მხარეების მიერ.

ბრალის წარდგენა დაგვიანებით

სისხლისსამართლებრივი დევნის დაგვიანებული დაწყება პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ და მით უფრო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობისთვის განსაზღვრული ვადის გასვლამდე მოკლე პერიოდში, განსაკუთრებით ამძაფრებს ეჭვს საქმის პოლიტიკური მოტივების შესახებ.

სასამართლო მონიტორინგის ანგარიშები მოწმობს, რომ პრობლემურია ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის (ე. წ. ბუტა რობაქიძის) სისხლის სამართლის საქმეზე დროული მართლმსაჯულების საკითხი. აღნიშნულ საქმეს პოლიტიკური მართლმსაჯულების ჩრდილი ჯერ კიდევ ბრალის წარდგენის მომენტიდან ახლავს - 2019 წლის 19 ნოემბერს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, ირაკლი ოქრუაშვილს პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა ბრალი ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმეზე.¹¹²

ლამა ცანავას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15 წლის შემდეგ. 2 წლის შემდეგ წარუდგინეს ბრალი ლინა დოლიძეს,¹¹³ ისე როგორც ზვიად კუპრავას და კახა ხაჩიძეს - სამივე საქმე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მომხდარ ინციდენტებს უკავშირდება.¹¹⁴

შეწყალების მიუხედავად მსჯავრდებულების მიერ სასამართლოებში გაგრძელებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები, 2024. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4bLpTAS> [27.05.2024]; ადამიანის უფლებათა ცენტრი, არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები, 2024. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KkCuKM> [27.05.2024].

¹¹² ადამიანის უფლებათა ცენტრი, ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, 2020, 34. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3x0XwL6> [27.05.2024]; ადამიანის უფლებათა ცენტრი, შეწყალების მიუხედავად მსჯავრდებულების მიერ სასამართლოებში გაგრძელებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები, 2024, 12. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4bLpTAS> [27.05.2024].

¹¹³ ადამიანის უფლებათა ცენტრი, არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები, 2024. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KkCuKM> [27.05.2024].

¹¹⁴ ადამიანის უფლებათა ცენტრი, არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები, 2024. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KkCuKM> [27.05.2024].

რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებული მხოლოდ ერთი საქმის შემთხვევაში მოხდა სასამართლოსთვის დაგვიანებით მიმართვა - შოთა თუთბერიძის წინააღმდეგ შსს-მ სასამართლოს სამართალდარღვევის სავარაუდო ჩადენიდან 2 თვის შემდეგ მიმართა.

გაჭიანურება პროცესის მონაწილე მხარეების მიერ

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის ანგარიშებზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემურია საქმის განხილვის დაგვიანებით დაწყება ან მიმდინარე პროცესების ხანგრძლივი დროით გადადება ან სხდომის ჩანიშნვა ხანგრძლივი ინტერვალებით.

პრობლემურია, რომ გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ განხილვა გასაჩივრებიდან 2 წლის შემდეგ დაიწყო.¹¹⁵ ამასთან, ჩანიშნული ორივე სხდომა გადაიდო ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგისთვის უცნობი მიზეზით.¹¹⁶

ასევე, ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის (ე. წ. ბუტა რობაქიძის) სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო პროცესები თვეში ერთხელ ინიშნება. ორ შემთხვევაში კი მოწმის და პროკურორის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.¹¹⁷

ლინა დოლიძის საქმეზე ერთწლიანის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩანიშნული 5 სასამართლო სხდომიდან ორი გადაიდო, ასევე, ორ სხდომაზე პროკურორი გამოცხადდა მოუმზადებელი.¹¹⁸

მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ინიშნებოდა მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას (ე.წ. ჰიჯაკების) სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო პროცესები, ხოლო მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კუზერაშვილისა და გიგი უგულავას (7 ნოემბერი) სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ჩატარდა რამდენიმე სხდომა, ორ სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა არ ისურვა პროცესის გაგრძელება მისი მონაწილეობის გარეშე, ხოლო ორ შემთხვევაში, დაცვის

¹¹⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრი, შეწყალების მიუხედავად მსჯავრდებულების მიერ სასამართლოებში გაგრძელებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები, 2024, 14. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4bLPtAS> [27.05.2024];

¹¹⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი რურუას საქმეზე: 18.03.2024, 17.04.2024.

¹¹⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადეიშვილის ე. წ. ბუტა რობაქიძის საქმეზე: 20.02.2024; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადეიშვილის ე. წ. ბუტა რობაქიძის საქმეზე: 16.04.2024.

¹¹⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ლინა დოლიძის საქმეზე: 11.12.2023; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ლინა დოლიძის საქმეზე: 25.01.2024.

მხარის ადვოკატებმა რუსული კანონის წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს დაკავებულების მიმართ სოლიდარობის ნიშნად, არ მიიღეს მონაწილეობა საქმის განხილვაში.

მხარეების მიერ საპროცესო (ვერ) შეთანხმებაზე მოლაპარაკების გამო 2022 წლის დეკემბრის შემდეგ სასამართლო სხდომა არ ჩატარებულა ელგუჯა ცომაიას, გიორგი ნარიმანიძის, ზურაბ და შალვა წოწორიების სისხლის სამართლის საქმეზე.

პროცესების გაჭიანურება სასამართლო ორგანიზების პრობლემების გამო

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სასამართლო ორგანიზების პრობლემის გამო გაჭიანურებული პროცესები.

თავის მხრივ, სასამართლო ორგანიზების პრობლემის ქვეშ იგულისხმება, ერთი მხრივ, სასამართლოს გადატვირთულობა¹¹⁹ და მეორე მხრივ, პოლიტიკის არარსებობა პოლიტიკურად სენსიტიური ან განსაკუთრებულად რთული საქმეების განხილვისთვის.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ხაზი გაუსვა მოსამართლის შეცვლის გამო სასამართლო პროცესების გაჭიანურების საკითხს, რაც სათადარიგო მოსამართლის არარსებობამ გამოიწვია.¹²⁰

მაგალითისთვის, მონიტორინგის მიმდინარეობისას, 2 წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ ჩატარდა სხდომა ლევან ხაბეიშვილის და გიორგი უგულავას (თბილისის განვითარების ფონდის) სისხლის სამართლის საქმეზე. გაჭიანურების მიზეზად სასამართლო განმარტავს, რომ ორივე ბრალდებულთან მიმართებით არასაკატიმრო აღკვეთი ღონისძიებაა გამოყენებული და შესაბამისად ასეთი საქმეები არ არის პრიორიტეტული. საქმეების მსგავსი გაჭიანურება იძლევა აქტიური პოლიტიკოსების საქმიანობაში ჩარევის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმეებზე პროცესების

¹¹⁹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ სასამართლო სისტემის 2017-2019 წლების საქმიანობის ანგარიშში ვკითხულობთ: „საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, USAID/PROLoG-ის პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა, იესპერ ვიტრუპმა და ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ადგილობრივმა ექსპერტებმა მოაშზადეს საქართველოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შეფასების კვლევა. ექსპერტთა დასკვნით, არსებული საქმეების გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა ამჟამინდელი რაოდენობა არასაკმარისია. გადატვირთულობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, სასამართლოს სჭირდება 410 (ან 380-დან 450-მდე) მოსამართლე, რაც მოსამართლეთა არსებული რაოდენობის საშუალოდ 100-ერთეულით გაზრდას გულისხმობს“. ხელმისაწვდომია: სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში 2017-2019, <https://bit.ly/3TxK7Tw>, [27.05.2024]. ასევე, სასამართლო სისტემის 2013-2017 წლების საქმიანობის ანგარიშში მოცემული სტატისტიკის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში ერთი მოსამართლე, საშუალოდ, 1000-ზე მეტ საქმეს განიხილავს, ხოლო აპრატის თანამშრომელთა საშუალოდ, საშუალოდ, 18 საათიან გრაფიკს გულისხმობს. ხელმისაწვდომია: სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში 2013- 2017, <https://bit.ly/3TkimfM>, [27.05.2024].

¹²⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრი, არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები, 2024. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KkCuKM> [27.05.2024].

„გაცოცხლების“ გზით და წარმოადგენს საფრთხეს მათი პოლიტიკური აქტიურობისათვის.

მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას (ე.წ. 7 ნოემბრის) საქმეზე მიხეილ სააკაშვილს ბრალი პროკურატურამ 2014 წლის 28 ივლისს წარუდგინა, 2014 წლის 2 აგვისტოს კი მას დაუსწრებლად შეეფარდა პატიმრობა.¹²¹ როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის ანგარიშიდან ირკვევა, მოსამართლის შეცვლამ გამოიწვია სასამართლო პროცესის, ფაქტობრივად, თავიდან დაწყება.¹²²

მსგავსი რამ მოხდა ელგუჯა ცომიას, გიორგი ნარიმანიძის, ზურაბ და შალვა წოწორიების; აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის და მეგის ქარდავას საქმეებზე.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში, მოსამართლე შეიცვალა და წარმოიშვა სასამართლო განხილვების თავიდან დაწყების კანონისმიერი საფუძველი.¹²³

კანონი განსაზღვრავს სასამართლო შემადგენლობის უცვლელობის პრინციპს, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქმის ზეპირი განხილვის და მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და იმთავითვე, სასამართლო პროცესის თავიდან არიდების მიზნით, აჩენს სათადარიგო მოსამართლის ინსტიტუტს.

სათადარიგო მოსამართლე პროცესში ჩართული მოსამართლეა, რომელიც ცვლის სასამართლო შემადგენლობიდან გასულ მოსამართლეს და ასეთ შემთხვევაში, საქმის განხილვა გრძელდება.

საქართველოს საერთო სასამართლოებს არ გააჩნია სტრატეგიული ხედვა, რა სახის საქმეებზე უნდა იქნეს დანიშნული სათადარიგო მოსამართლე. მეორეს მხრივ, მოსამართლეთა რაოდენობის ნაკლებობა, ასევე არსებული მოსამართლეების გადატვირთული სამუშაო პირობები შეიძლება გამოდგეს საქმეებზე სათადარიგო მოსამართლის დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველად. თუმცა, სასწორის პინაზე დადებული სასამართლოს გადატვირთულობისგან გათავისუფლების მოტივი ვერ გადაწონის ადამიანის უფლებას სწრაფ და ეფექტიან მართლმსაჯულებაზე.

¹²¹ იხ. ინტერნეტგამოცემა „რადიო თავისუფლება“, სასამართლო ხელახლა დაიწყებს "7 ნოემბრის" საქმეზე ბრალდებული მიხეილ სააკაშვილის და სხვა პირების საქმის განხილვას, 20 სექტემბერი, 2023. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4dUfKip> [28.05.2024].

¹²² ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 03.07.2023.

¹²³ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლი: სასამართლომ საქმე უცვლელი შემადგენლობით უნდა განიხილოს. თუ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღება, მას ცვლიან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით და საქმის განხილვა ხელახლა იწყება, გარდა ამ კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა [იგულისხმება საქმეში სათადარიგო მოსამართლის არსებობა].

ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელშეწყობით, შესაძლებელია გარკვეული კრიტერიუმების შემუშავება, თუ როდისაა მიზანშეწონილი საქმეზე სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა. ასეთი შეიძლება იყოს შემთხვევები, როცა:

- საქმე რთული კატეგორიისაა და განიხილავს კოლეგიური შემადგენლობა;
- ბრალდებული წარმოადგენს რომელიმე პოლიტიკური პარტიის აქტიურ წევრს ან საქმის განხილვა დაკავშირებულია პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან;
- საქმეზე დანიშნული მოსამართლე საპენსიო ასაკს მიაღწევს 1 წელზე ნაკლებ პერიოდში, ხოლო რთული კატეგორიის საქმეების შემთხვევაში - 3 წელზე ნაკლებ პერიოდში;
- საქმის განხილველ მოსამართლეს 1 წელზე ნაკლებ ვადაში გასდის გამოსაცდელი სამწლიანი ვადა;

მსგავსი მიდგომა სასამართლოს დაეხმარება სასამართლო პროცესების ეფექტიან წარმართვაში და მინიმუმამდე დაიყვანს საქმის სასამართლო ორგანიზების პრობლემის გამო გაჭიანურების რისკებს.

პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა - საპროტესტო აქციების მონაწილეთა დასჯის საბაზად გამოყენებული კანონი

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ყველა საქმეზე, რომელიც საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგაა წარმოებული, მონაწილე პირს შსს უდავება პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას.

შსს-ს მიერ გამოქვეყნებული 2024 წლის სტატისტიკით, 14 მაისის მდგომარეობით, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის (ასკ-ის 173-ე მუხლი) 803 შემთხვევაა გამოვლენილი. მათგან ყველაზე მეტი - 317 შემთხვევა, სწორედ თბილისში ფიქსირდება.

დასახელებული მუხლის საკანონმდებლო დისპოზიცია შემდეგია: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის [...] კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა) გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარიდან 3000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

ცალსახაა, კანონი სწორხაზოვნად განსაზღვრავს, რომ სამართალდარღვევაა არა პოლიციის ყველა სახის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, არამედ სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნა/განკარგულება უნდა იყოს კანონიერი.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორების დაკვირვებით, მიუხედავად მოპასუხე მხარის მიერ აპელირებისა, სასამართლომ შეაფასოს პოლიციის მიერ გაცემული მოთხოვნის კანონიერების საკითხი, სასამართლო გვერდს უვლის აღნიშნულ საკითხს, ხშირად აქცენტირებს, რომ აღნიშნულ პროცესზე ხდება პირის მიერ ჩადენილი ქმედების სამართალდარღვევის შეფასება და არა დაკავების კანონიერება, ხოლო ზოგ შემთხვევაში, სხვა უწყების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხად მიიჩნევს აღნიშნულს.

პრაქტიკის საპირისპიროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობა არაორაზროვნად მიუთითებს და *expressis verbis* დასჯადად აცხადებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ განკარგულებისა და მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, რომელიც კანონიერია. საერთო სასამართლოები ვალდებულნი არიან, პირის სამართალდამრღვევად ცნობამდე, შეისწავლონ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ მოთხოვნისა თუ განკარგულების კანონიერება, რომლის დაუმორჩილებლობისათვის, პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება.¹²⁴

ამდენად, ადამიანის უფლებათა ცენტრი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სასამართლოს მიერ ასკ-ის 173-ე მუხლის საფუძველზე პირის, განსაკუთრებით - საპროტესტო აქციის მონაწილეების, სამართალდამრღვევად ცნობის საკითხზე მსჯელობის დროს (რადგან საპროტესტო აქციას განსხვავებული სპეციფიკა აქვს), უპირველესად გამოარკვიოს პოლიციის მოთხოვნის კანონიერება - პოლიციის მოთხოვნის კანონიერების საკითხი იმანენტური წინაპირობაა პირის ასკ-ის 173-ე მუხლის საფუძველზე სამართალდამრღვევად ცნობისთვის.

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო პროცესების მონიტორებმა 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის ივნისის პერიოდში 31 სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის 93 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განახორციელეს. წინამდებარე ანგარიში ასახავს მონიტორინგის ფარგლებში გამოკვეთილ პრობლემურ საკითხებს სისხლის სამართლისა და

¹²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის N2/14/1730 განჩინება საქმეზე ნატალია ფერაძე და კონსტანტინე გურული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14765>, ნანახია: 11.02.2023.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იმ საქმეებზე, რომელთა მიმართ პოლიტიკური მოტივების შესახებ კითხვები არსებობს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშებზე დაყრდნობით, კვლავ პრობლემად მიიჩნევს გაჭიანურებული მართლმსაჯულების საკითხს. დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ გაჭიანურების პრობლემა მომდინარეობს როგორც პროცესის მონაწილე პირების მხრიდან, ისე სასამართლოსგან. ამასთან, კვლავაც პრობლემურად ფასდება ბრალის დაგვიანებით, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის დადგომამდე მოკლე პერიოდში წარდგენის საკითხი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი გაჭიანურებული მართლმსაჯულების რისკების შემცირების ერთ-ერთ მექანიზმად სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული სათადარიგო მოსამართლის ინსტიტუტის გააქტიურებას ხედავს, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში, მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლო პროცესების გაჭიანურების, ასევე, მხარეთა მიერ გაჭიანურების შესაძლებლობის ბოროტად გამოყენების რისკს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან მიმართებით, პრობლემას წარმოადგენს მტკიცებულებათა დამაჯერებელი ერთობლიობის გარეშე პირის სამართალდამრღვევად მიჩნევა. ასევე, ერთი და იმავე პირების რამდენიმე პროცესზე წარმოდგენა მოწმეების სახით, ხოლო წარმოდგენილი მოწმეების მიერ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება სასამართლოსთვის.

პრობლემურად უნდა შეფასდეს საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის სადამსჯელო მექანიზმად გამოყენება. ამასთან, სასამართლოს მიერ საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე პირთა სამართალდამრღვევად მიჩნევა.

საბოლოოდ, ეს არის დარღვევები, რომელიც აძლიერებს აღნიშნულ საქმეებზე პოლიტიკური მართლმსაჯულების შესახებ ეჭვს.

რეკომენდაციები

სასამართლო ხელისუფლებას:

- ქმედითად აქციოს სათადარიგო მოსამართლის ინსტიტუტი და შეიმუშაოს კრიტერიუმები, რომელიც საქმეების განხილვისთვის იქნება დანიშნული სათადარიგო მოსამართლე;
- უზრუნველყოს საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვა, არ დაუშვას პროცესის ხელოვნური გაჭიანურება, ხოლო მხარეთა მხრიდან მსგავსი ქმედების შემთხვევაში გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ბერკეტი;

- მიიღოს ზომები სხდომის დარბაზის ტექნიკური გამართულობისთვის მტკიცებულებათა გამოკვლევის, პროცესის დისტანციურ რეჟიმში შეუფერხებლად წარმართვისა და დარბაზში ხმის სმენადობის უზრუნველსაყოფად.
- მოსამართლეებმა უზრუნველყონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სრული, ყოველმხრივი, ობიექტური, მიუკერძოებელი და სამართლიანი განხილვა;
- მოსამართლეებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში უზრუნველყონ მტკიცების ტვირთის კანონის შესაბამისად გადანაწილება და არ მიანიჭონ უპირატესობა რომელიმე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს მათი გამოკვლევის გარეშე.

პროკურატურას:

- არ დაუშვას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ხელოვნური გაჭიანურება;
- გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები პროცესზე მოუმზადებლად გამოცხადებული და არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელი პროკურორების მიმართ.